პროლეტარიანო ყველა ქვეყანისა შეერთდით

კომუნისტი

წყლიწადი მეორე

ს. კ. პ.

ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საძარ. მ., ბ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

ფასი 5000 მანეთი

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუპენშტეინის ქ., № 4. რედაქცია დღეა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს—3 ს.

ტელეფონები: სარედაქციო 14—76 მდივნის № 19 საერ. №

№ 72 პარასკევი, 31 მარტი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 31 მარტი 1922 წ. № 72

შაბათს, აპრილის 1-ს საღამოს 6 საათზე,

ს. პ. კ. ს. დიდ დარბაზში შესდგება

საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტების კონფერენცია

პროფესიონალურ კავშირთა გამგეობებთან ერთად.

დღის წეს-რიგი:

1. მოხსენება პროფინტერნის შესახებ.
2. მიმდინარე საკითხები.

კონფერენციის შემდეგ იქნება კონცერტი.

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმი.

კვირას, 2 აპრილს საღამოს 5 საათზე

ქალაქის აღმასკომის შენობაში (სათათბირო დარბაზში) შესდგება

თბილისის მუშათა და ყითელ ლაშქრელთა დეპუტატების საბჭოს კომფრაქციის სხდომა

ყველა პარტიულ ამხანაგთა გამოცხადება პარტიულ დისციპლინის მიხედვით სავალდებულოა.

საბჭოს ფრაქციის ბიურო.

თესვის კამპანია და სიმშილი

პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების და მთელი მშრომელი ხალხის ყურადღებას კვლავ იპყრობს ჩვენი მიმდინარე შინაური ცხოვრების ორი მტკივნეული მხარე: თესვა და სიმშილი. ჩვენ მომწყვდეულნი ვართ ამ ორ რკალში—სიმშილი და თესვა, თესვა და სიმშილი,—რომელიც მაგრად არიან ერთმანეთთან გადაბმულნი, და გვმართებს არაჩვეულებრივი, ზეადამიანური ენერგიის გამოჩენა, რომ ჩვენი დასახრჩობად გამოშვერილი სიმშილის დაუნდობელი ხელი დავამსხვრიოთ და თესვის საქმე გამარჯვებით დავამთავროთ.

ჩვენი გუშინდელ გაზეთში მოთავსებული ცნობა ვრცლად ასურათებს თესვის კამპანიის მსვლელობას. რესპუბლიკის სხვა და სხვა მაზრებისაგან გამოთხოვილ სათესლე მასალის რაოდენობა 20 მარტისათვის აღწევდა 472,320 ფუთს; სათესლე მასალის ციფრი, რომლის დაკმაყოფილება განზრახულია, უდრის 305,000 ფუთს; ფაქტიურად გაღებულია ცენტრო-თესვის მიერ 50,720 ფ. ეს რაოდენობა, როგორც ვხედავთ, ფრიად მცირეა მოთხოვნილებასთან შედარებით. სათესლე მასალის შესაძენად მუშაობა ორი მიმართულებით წარმოებს: მიღებულია ზომები თესლის უცხოეთის ბაზრიდან მოსაზიდად. ზოგიერთი ცნობებით, სათესლე მასალის მნიშვნელოვანი პარტია უკვე მოსულა ამერიკიდან სტამბოლში და უახლოეს დღეებში გემი მათომს მოადგება. მეორე მხრივ დაბზადება სწარმოებს შინაურ ბაზარზე, ამ შუშაობაში ჩაბმულნი არიან, ცენტრო თესვის უშუალო ხელმძღვანელობით, მთელი სოფლები და შეკავშირებულ გლეხების მსხვილი ჯგუფები. ამავარად, გვაქვს საფუძველი, იმედი ვიქონიოთ, რომ უცხოეთიდან მოსულ და აქ დამზადებული სათესლე მასალა დაახლოვებით მაინც საკმარისი იქნება მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ თესლის საკმაო რაოდენობის შოვნა საქმეს ვერ უშველის, თუ ის სასწრაფოდ ვერ მივაწოდეთ ადგილობრივად მშრომელ გლეხობას. ამ მხრივ მეტად აბრკოლებს საქმეს ტრანსპორტის მოუწყობლობა. მაგ., ონამდე რკინის გზის სადგურიდან ერთი ვაგონი თესლის (1000 ფ.) გადაზიდვა ჯდება 60 მილიონი მან. და ისიც დროზე ვერ ხერხდება. ასეთ მდგომარეობაში არიან ახალციხის და ახალქალაქის მაზრები, ზოგიერთი სხვა რაიონიც. გადაჭრილი ზომები უნდა იქნას მიღებული გადაზიდვის საქმის ორგანიზაციისათვის. კერძოდ ტვირთ-ზიდვის გადასახადის ფართედ გამოყენება ამ შემთხვევაში აუცილებელია და მიზანშეწონილი. შემდეგ ხაზი უნდა გაუსვათ სათესლე მასალის გეგმა შეწონილ განაწილებას. საერთოდ აღსანიშნავია, რომ თესვის კამპანიაში, როგორც ყოველ საქმეშიც, თავიდან ბოლომდე მტკიცედ უნდა ტარდებოდეს ერთიანი გეგმა, რომელსაც იმუშავებს ხელმძღვანელი ცენტრი—თესვის ცენტრალური კომიტეტი. მისი დირეკტივები სავალდებულოა ყველა დანარჩენ ორგანოებისთვის, რომელნიც მხოლოდ ეხმარებიან მას და ხელს უწყობენ საჭირო ღონისძიებათა განხორციელებაში. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგიერთ დაწესებულებას კიდევ ვერ შეუგნია ეს მარტივი აზრი და არღვევს თესვის კამპანიის საერთო გეგმას. მაგალითად, სიღნაღის აღმასკომს დამოუკიდებლად თესვის კომისიისაგან აუღია 2 ვაგონი ხორბალი და ყოველგვარი სისტემის ტ გეგმის გარეშე დაურიგებია მოსახლეობისათვის. აგრეთვე მოსულია ცნობები ახალციხის მაზრიდან უთანხმოების ჩამოვარდნის შესახებ ადგილობრივ თესვის კომიტეტსა, ერთი მხრივ, აღმასკომსა და მიწის სამაზრო კომიტეტს შორის, მეორე მხრივ. ჩვენ ამ ჟამად არ შევდივართ იმის განხილვაში, თუ ვინ არის მართალი ან მტყუანი, მხოლოდ ვიტყვით, რომ ფუნქციების აღრევა და ანარქიული მოქმედება დიდ ზიანს მოგვიტანს, და ასეთ მოვლენებს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ. მხოლოთ ერთიანი გეგმის მიხედვით ყველა პარტიულ ორგანიზაციების ხელიხელ ჩაკიდებული მოქმედებით შეესძლებთ ამ რთულ და საპასუხისმგებლო საქმის პირნათლად შესრულებას.

ჩვენი სინამდვილის მეორე, მტკივნეულ და საჭირ-ბოროტო საკითხს შეადგენს სიმშილობასთან ბრძოლა. თუ ამ უბედურებას ვერ გავართვით თავი, თვით თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებაზე ლაპარაკიც შეუძლებელია. მშიერი, დაუძლურებული ხალხი ვერაფერს გააკეთებს და სათესლე მასალასაც საკვებად მოიხმარს, სიმშილობა კი დღითი-დღე ძლიერდება, საშიშ და მასიურ ხასიათს ღებულობს. დამშეულია მთელი სოფლები, რაიონები, რომელნიც გულ-შემზარავ ტანჯვას განიცდიან და ფიზიკური ამოწყვეტის წინაშე იმყოფებიან. დახმარება კი დამშეულთა სახსნელად ზანტად და მცირე შემოდის, შეძლებული კლასი, როგორც მოსალოდნელი იყო, სრულ დანაშაულებრივ გულგრილობას იჩენს გაჭირვებულთადმი. იგი კლასობრივად და პირადად დაინტერებულია გაჭირვების ნიადაგზე ხალხის ფართო მასსებში შეიქმნეს უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამგვარად სიმშილის საკითხს უაღრესად სოციალურ-პოლიტიკური ხასიათი ეძლევა. თვით დღეევანდელ სიმშილობის ერთი მთავარი მიზეზთაგანი სოციალური რიგისაა. მეფის რეჟიმი, რომელიც მიზნად ისახავდა, რათა მშრომელი ხალხი ეკონომიურად სავსებით ყოფილიყო მაზე დამოკიდებული, ნაკლებად ზრუნავდა სასოფლო-მეურნეობის განვითარებაზე, არხების გაყვანაზე და სხვა ღონისძიებებზე, რომელთა საშუალებით შესაძლებელი ყოფილიყო სტიქიურ უბედურებათა (გვალვა, წყალდიდობა და სხ.) აცილება. არა მეტი მზრუნველობა გამოუჩენია მენშევიკურ მთავრობას. თავის სამი წლის ბატონობის განმავლობაში, მას ამ სფეროში ერთი მნიშვნელოვანი საქმეც არ გაუკეთებია. და რასაკვირველია, რომ ბრმა სტიქიის ამარა მიტოვებულ და პირველყოფილ სამეურნეო ცოდნის ტ იარაღის მატარებელი გლეხობამ ვერ დასძლია ეს თავზე დატეხილი სტიქიური გამანადგურებელი მოვლენები, რომლებმაც არარად აქციეს მისი ნაღვაწნამუშევარი, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მოჯიდა სერიოზულად ხელი სასოფლო მეურნეობის აღორძინებისათვის ხელ საყრელ პირობების შექმნას. ერთი წლის განმავლობაში მან ამ მხრივ უდიდესი მუშაობა გასწია სარწყავ არხების გაყვანით და სხვა სამელიორაციო ღონისძიებათა მიღებით. მაგრამ ეს ნამოქმედარი გამოიღებს ნაყოფს არა ღღეს, მისი შედეგი საგრძნობა გახდება უახლოეს და შემდეგ დროებში. მშრომელ ხალხს ყველაფერი ეს მშვენივრად ესმის, ამიტომაც გმირულად იტანს გაჭირვებას და თავის, მუშურ-გლეხურ მთავრობასთან ხელი ხელ ჩაკიდებული მედგრად იბრძვის დღეევანდელი კრიზისის დასაძლევად და მომავალი არსებობის უზრუნველ საყოფად. მან კარგად იცის, რომ სიმშილის დაძლევასა და თესვის კამპანიის გამარჯვებით ჩატარებაზეა დამოკიდებული მისი ფიზიკური და პოლიტიკური მომავალი, და ამიტომ სასურველი მიზნების მისაღწევად ამ ორ ფრონტზე უამრავი მსხვერპლი მიაქვს.

გ. კ.

რუსეთის კომპარტიის მეთერთმეტე ყრილობა

მოსკოვი, 28 მარტი (რადიო). გუშინ კრემლში გაიხსნა რუსეთის კომპარტიის მეთერთმეტე ყრილობა. პრეზიდიუმის მაგიდასთან გამოდის ლენინი, რომელსაც დელეგატები დიდი და მხურვალე სალამით ეგებებიან. ცენტრალური კომიტეტის დავალებით ამხ. ლენინი მე-11 ყრილობას გახსნილად აცხადებს.

ამხ. ლენინის მისასალმებელი სიტყვა

ეს ყრილობა, ამბობს ამხ. ლენინი, იკრიბება ჩვენი პარტიის მძიმე და ძარღვებ-დაჭიმულ მუშაობის ერთი წლის შემდეგ, ამ ერთი წლის განმავლობაში ამასთანავე ჩვენ გვაღელვებდა (გაურჩეველია) ინტერვენციის მუქარა. ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მთავარი მძიმე მომენტები ჩვენ დავსძლიეთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ ჩვენ კიდევ არ მოგველოდეს ბრძოლა მრავალ უმძიმეს საფრთხესთან. ამ ყრილობის ერთ უმთავრეს ამოცანას შეადგენს ჩვენი პარტიის განმტკიცება და მისი მთლიანობის დაცვა. ჩვენ აგრეთვე უნდა აღვნიშნოთ კომუნისტური მოძრაობის ზრდა საერთაშორისო მასშტაბით. ამასთანავე ჩვენ უნდა გამოვსთქვათ ჩვენი აზრი დასავლეთის კომუნისტურ პარტიებთან თანამშრომლობის შესახებ.

პრეზიდიუმის არჩევნები

ყრილობა ირჩევს პრეზიდიუმს შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ლენინი, ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი, სტალინი, მოლოტოვი, ტომსკი, პეტროვსკი, გუბარია, ფრუნზე, სმირნოვი, კომაროვი, ორჯონიკიძე, რახიმბაევი, იაროსლავსკი, ხოდორევსკი, უფიმცევი და ვოროშილოვი.

ყრილობის დღიური წეს-რიგი

ცხადდება ყრილობის დღიური წესრიგი: 1) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში, 2) კომინტერნის ანგარიში, 3) შედეგები პარტიის გაწმენდისა და განმტკიცებისა, 4) თანამოხსენებანი ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის მუშაობის შესახებ, 5) პროფესიონალი კავშირები, 6) საფინანსო პოლიტიკა, 7) არჩევნები ცენტრალი კომიტეტისა, საკონტროლო და სარევიზიო კომისიების.

ყრილობა გადადის დღიურ წესრიგის პირველ საკითხზე—ცეკას პოლიტიკურ ანგარიშზე. მოხსენებას კითხულობს ამხ. ლენინი, რომლის სიტყვა ორ საათზე მეტს გრძელდება.

ამხ. ლენინის სიტყვა

ამხ. ლენინის სიტყვა გაჟღენთილი იყო მისი ჩვეულებრივი ოპტიმიზმით, მიუხედავად მრავალი საყვედურისა, რომელიც მან გამოსთქვა ჩვენი უცოდინარობისა, შეცდომებისა და უთავბოლობის გამო. ლენინის მოხსენება აფერადებული იყო მრავალი მახვილი სიტყვით, დამახასიათებელი ინტონაციით და ადგილებით, რაიც იზიდავდა ყურადღებას და ხელს უწყობდა ამხანაგური კავშირის ატმოსფერის შექმნას მომხსენებელსა და აუდიტორიას შორის.

გენუას კონფერენცია.

თავის მოხსენებას ამხ. ლენინი იწყებს გენუას კონფერენციის საკითხიდან. მომხსენებელი აცხადებს, რომ მას არ შეუძლიან დეტალურად შეეხოს ცენტრალი კომიტეტის ფრიად რთულ მუშაობას ამ საკითხის გარშემო. ყველა ვინც მოისურვებს შეუძლიან გაეცნოს უამრავ მასალას, რომელიც ცენტრ. კომიტეტშია. „პრესა მეტად დიდ ადგილს უთმობდა ამ საკითხს“,—სთქვა ლენინმა,—„ადგილი ქონდა ამ თემის გარშემო მრავალ პოლიტიკურ ხმაურს, რაც არ იყო საჭირო. ცენტრალმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო ყველა აუცილებელი ზომები: გენუაში გასაგზავნ დელეგაციაში შედის გამოცდილი და მცოდნე ამხანაგები, რომელთაც ოთხი წლის განმავლობაში ისწავლეს და იციან საბჭოთა დიპლომატობა. კითხვები, რომელიც დაკავშირებულია გენუას კონფერენციასთან არის შეჯიბრების კითხვები. არის მიმდინარეობა, რომელსაც სურს, რათაც არ უნდა დაუჯდეს ჩაშალოს კონფერენცია, არის მეორე მხარე, რომელიც ცდილობს მის დაცვასა და გადარჩენას. გენუაში ჩენ მივდივართ არა როგორც კომუნისტები, არამედ როგორც ვაჭრები—სავაჭროდ. ეს გვინდა ჩვენ და ეს სურს იმ ხალხსაც და ჩვენ მივდივართ იმ მიზნით რომ მივაღწიოთ (გაურჩეველია).. და გავიკაფოთ გზა, მაგრამ აქ წინ გვეღობება დიდი დაბრკოლებანი.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა.

ამხ. ლენინი გადადის მოხსენების მეორე ნაწილზე, რომელიც უმთავრესად ეხება ახალ ეკონომიურ პოლიტიკას. „საჭიროა, ამბობს ამხ. ლენინი, გავითვალისწინოთ ჯამი იმისა, რაც ჩვენ გავაკეთეთ, საჭიროა გამოვარკვიოთ, თუ რა პოლიტიკური გაკვეთილები მივიღეთ ჩვენ. აქ უპირველესად ყოვლისა ჩვენ უნდა გვაინტერესებდეს გლეხის ეკონომიის შემოწმება. ჩვენ პირველად გავარღვიეთ კედელი კაპიტალისტური მსოფლიოსი და მოვაწყვეთ წარმოება სოციალისტურ ნიადაგზე. სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის შესახებ ბევრს ლაპარაკობდა ჩვენი პრესა, მაგრამ სამწუხაროდ წიგნები ამ საგანზე ჩვენ არა გვაქვს, მარქსმაც კი არ დაგვიტოვა არც ერთი ციტატა. ჩვენ ვიცით რა არის სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი კაპიტალისტურ საზოგადოებაში და არა ნაკლებად გვესმის რას ნიშნავს იგი კომუნიზმის დროს.

სახელმწიფოებრივი კაპიტალისტები—ეს ჩვენა ვართ, ეს არის ჩვენი სახელმწიფო დაწესებულებანი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ჩვენ ხხოლოდ ჩამოვდექით ბურჟუაზიული გზიდან და ჯერ კიდევ არ გავსულვართ საკუთარ გზაზე.

უკან დახევა შეჩერებულია.

„ცენტრალურმა კომიტეტმა, აცხადებს ამხ. ლენინი, დაადგინა ერთხელ კიდევ დაადასტუროს აზრი, რომელიც მე გამოვსთქვი მელიტონეთა ყრილობაზე: უკანდახევა შეჩერებულია, უკან დახევა აღარ მოხდება. ცენტრალური კომიტეტის მთავარი საზრუნავი იყო ერთგვარი გადაჯგუფების მოხდენა (გამოშვებულია), რომ უკანდახევა წესიერი ყოფილიყო; საჭირო იყო არ მივსცემოდით პანიკას. ამ მხრივ მუშათა ოპოზიციის გამოსვლა იყო პანიკის თესვა, რომლის გამო სუსტი კომუნისტი-უცხოელები მოსთქვამდნენ მწარე ცრემლებით (გამოშვებულია)... (გაურჩეველია)... ყოველგვარ უკანდახევის დროს სრულიად ბუნებრივია მოწყენილობა, რომელსაც ჩვენ უნდა შევებრძოლოთ პირველ რიგში. აი რატომ უნდა ვიყვნეთ ჩვენ დაუნდობელნი პანიკის მთესავთა მიმართ—მენშევიკების მიმართ, რომელნიც არის ყველაზე მეტად ავი აგენტები თეთრგვარდიელებისა. ჩვენ დღემდე მოვასწარითი შექმნა 18 შერეული საზოგადოებისა, რომელშიაც მონაწილეობს კერძო კაპიტალი სახელმწიფოებრივთან ერთად. ჩვენ მოვახერხეთ ერთგვარი შეთანხმების დამყარება კაპიტალისტებთან, ჩვენ უნდა მივაღწიოთ მასვე გლეხობასთან—ეს არის ჩვენი ძირითადი ამოცანა.

ევოლიუცია თუ ტაქტიკა.

შემდეგ ამხ. ლენინი ჩერდება „სმენა ვეხის“ ჯგუფის მიერ აღძრულ საკითხზე: ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა რა არის ეს, ევოლიუცია თუ ტაქტიკა. „სმენა“ ამტკიცებს, რომ ეს წარმოადგენს ბოლშევიზმის ევოლიუციას. ჩვენ უნდა უკუვაგდოთ კომუნისტური სიცრუე „კომსიცრუე“. ჩვენთვის ფრიად სასარგებლოა მოვისმინოთ კლასიური სიმართლე ჩვენი კლასიური მტერის. კოლჩაკის ყოფილი მინისტრი უსტრიალოვი ამტკიცებს, რომ ჩვენ ახალი ეკონომიური პოლიტიკით ჩავგორდებით ბურჟუაზიულ ორმოში. ჩვენი ამოცანაა—ეს შეუძლებლად გავხადოთ. პოლიტიკური და ეკონომიური მმართველობის მთელი ძალა ჩვენს ხელშია, მაგრამ ჩვენ არ გაგვაჩნია კულტურა. ბურჟუაზიული კულტურა ცუდი და უბადრუკია, მაგრამ ის უფრო ძლიერია ახალ პროლეტარულ კულტურაზე, მას უნარი შესწევს მოინელოს დაწესებულების სათავეში მდგომი პასუხისმგებელი კომუნისტი. ბურჟუაზია დამარცხებულია, მაგრამ არ არის გადალახული ბურჟუაზიული კულტურა“. შემდეგ თავის სიტყვაში ამხ. ლენინს მოყავს ორი ცოცხალი მაგალითი საგარეო ვაჭრობის და დონის აუზის პრაკტიკიდან, რომელიც მოწმობს ჩვენს უკულტურობაზე, მუშაობის მოწყობის უუნარიანობაზე. ამხ. ლენინი ამ სამწუხარო ფაქტებს ხსნის უმთავრესად იმით, რომ ჩვენ არა გვაქვს კულტურა, არ შეგვიძლია საქმიანად შევუდგეთ მეურნეობის საკითხების გადაჭრას. „მაგრამ, რა თქმა უნდა. განაგრძობს ამხ. ლენინი, ამან არ უნდა, ჩაგვაგდოს სასოწარკვეთილებაში. ჩვენ ვაშენებთ პირველი საბჭოთა სახელმწიფოს, და ბუნებრივია, რომ ყველაფერი თავის რიგზე არ ეწყობა. ხომ ბევრი ნაკლულოვანება ჰქონდა პირველი ორთქლის მანქანას და პირველ ორთქლმავალს.

ჩვენი ეტაპები.

ამხ. ლენინი აღნიშნავს ჩვენი გზის ეტაპებს. „1917 წელს, სთქვა მან, ჩვენ რევოლიუციონური გზით მოვახერხეთ გამოვსულიყავით უურეაქციონერეს ომიდან. 1918 წელს ჩვენ უნდა ამოგვერჩია ან საბჭოთა მთავრობა ან დამფუძნებელი კრება და გადავსწყვიტეთ, რომ არჩევა უნდა მომხდარიყო საბჭოთა სახელმწიფოს სასარგებლოდ. 1919 და 1920 წლები ჩვენ მოვანდომეთ ჩვენს კისერზე დამჯდარ მტრების მოგერიებას (ბოლო არ არი მიღებული)...

სხდომის გაგრძელება.

დაარღვია რა ცოტათი დღის წესრიგი, თავმჯდომარე ამხ. ფრუნზე აძლევს სიტყვას სერიეს, ფრანგ კომუნისტს, რომელიც არის საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრი და პროფესიონალურ გაერთიანების მეთაური. კამენევი ყრილობის სახელით მადლობას უცხადებს სერიეზეს და ფრანგ ამ[illegible] გებს.

ც. კ. ანგარიშით გამოდის ამხ. სოლცი. თავის მოხსენებას ც. კ. მუშაობის შესახებ ის ათავებს კომისიის პრაქტიკიდან რამდენიმე საქმეების ჩამოთვლით. ყრილობის ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობდა 22 ამხანაგის საქმე, ამასთან ამხ. სოლცმა ცეკას სახელით წინადადება მისცა ყრილობას მიუსაჯონ დისციპლინარი სასჯელი ზოგიერთ ამხანაგებს 22 რიცხვიდან. ამხ. პეტროვსკიმ პრეზიდიუმის დავალებით წინადადება შეიტანა, გამოყოფილ იქნას გასაკუთრებული კომისია ამ საქმის გასარჩევად. წინადადება მიღებულია, აირჩიეს კომისია.

ც. კომიტეტის მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა ამხ. ამხ. რიაზანოვმა, სედოიმ, მიშკინმა და შლიაპნიკოვმა. მოხსენებაზე კამათი არ დამთავრებულა და გადაიდო 29 მარტის დილის სხდომისათვის.

პროფკავშირების ახალი ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებისათვის

პროფკავშირების ახალი ამოცანები და მისი მუშაობის შეცვლილი ხაზი უარყოფს უშუალოდ, ანარქიული წესით წარმოების მართვა-გამგეობის საქმეებში ჩარევას და უმთავრესად მიმართულია კავშირის წევრების—მუშა - მოსამსახურეთა ინტერესების ყოველმხრივ -დაცვისაკენ და ამ დაცვით მასსების ნებისყოფლობითი და თავისუფლად შეკავშირებისაკენ, იძულებით და მექანიკურ კავშირის წევრობის მაგივრად, რაც უფრო მეტ მნიშვნელობას აძლევს პროფესიონალურ კავშირებს და გამოიწვევს მეტ ლტოლვას მისკენ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამა თუ იმ პროფესიონალურმა კავშირმა გაამართლა თავისი ნამდვილი დანიშნულება—მუშა - მოსამსახურეთა ინტერესების დაცვა, მატერიალური და კულტურული კეთილდღეობაზე ზრუნვა.

ეს კი მოითხოვს პროფკავშირების აპარატის გარდაქმნას, მისი სტრუქტურის გამარტივებას და ახალ პირობებთან შეფარდებას. განსაკუთრებული და უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს დაბლა მდგომ და მასსებთან უშუალოთ დაკავშირებულ ორგანიზაციებს—საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს. პროფკავშირების ახალ ამოცანების ცხოვრებაში გატარებაზე შეიძლება მხოლოდ ვიტყვიოთ, როცა საქარხნო კომიტეტი გაიგებს თავის ახალ დანიშნულებას, გაეცნობა თავის ფუნქციებს და იქ აღარ იქნება ის ორეფობა და წინააღმდეგობა, რომელიც ახასიათებდა მის ძველს მუშაობას.

ამასთან ერთად საჭიროა აგრეთვე პრაქტიკული ზომებით ნათლად დაინახონ მუშებმა, რომ საქარხნო ან ადგილობრივი კომიტეტი აღარ გამოდის მარტო ჭკუის დამრიგებელის როლში, არამედ ის იცავს მათ და ღებულობს ყოველგვარ ზომებს მათი კანონიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, რაც გამოიხატება უფრო ხშირათ არა რაიმე დიდ საქმეებში, არამედ უბრალო ყოველდღიურ წვრილმანებში, როგორც მაგალითად, სამუშაო ხელფასის დროზე მიღება, სამუშაო დროს და შემოღებულ დასვენების დაცვა, უმიზეზოდ დათხოვნა, ადმინისტრატიული პირების უდიერად მოპყრობა, უკანონოდ ფულის დაკავება, კუთვნილი სურსათის და ტანთსაცმელის დროზე დარიგება და სხვა.

მუშა და მოსამსახურე თავის კომიტეტის საშუალებით უნდა გრძნობდეს თავს უზრუნველყოფილათ ადმინისტრატიულ პირების ყოველგვარ ბიუროკრატიზმისაგან, მათ მიერ თავის მოვალეობის დამახინჯებისაგან. საერთოდ მას უნდა ჰქონდეს საქმე არა პირდაპირ ადმინისტრაციასთან, არამედ საქარხნო კომიტეტთან, რომელსაც უნდა მიმართოს ხოლმე ყოველ საჭიროების დროს, რაგინდ უბრალოც უნდა იყოს ის. ამით შეიძლება მოისპოს ის შიში და პირადი უკმაყოფილება, რომელთაც ადგილი აქვთ, და ექნებათ შტატების შემცირების და დათხოვნის დროს. ამ მხრივ მეტი მუშაობა უნდა მიმართული იყოს წვრილ წარმოებისაკენ, სადაც თითო-ოროლად მუშაობენ და ამით ექსპლოატაცია დიდია. ასეთ მუშებს არა თუ დამოუკიდებელათ თავის დაცვა არ შეუძლიათ, არამედ ისინი ხანდახან დაშინებულნი არიან კავშირთან რამე საქმე დაიკავონ.

პროფკავშირების აპარატის გამარტივებასაც მნიშვნელობა აქვს ახალი ამოცანების ცხოვრებაში გასატარებლად. რამდენათაც უფრო მარტივი იქნება ის, იმდენად ადვილი იქნება მუშაობა. ყველაზე უფრო სიმარტივე შეტანილი უნდა იქნას დაბლა მდგომ ორგანიზაციებში—საქარხნო და ადგილკომებში. უნდა მოისპოს მრავალი კომისიები, რომელიც აქამდინ არსებობდენ საქარხნო კომიტეტებთან, როგორც მაგალითად; კულტურულ-განმანათლებელი შრომის დაცვის სადისციპლინო („ტრუდკომი“), მუშა-გლეხთა საკონტროლო („რკი“) და სხვა მრავალი, ხშირად ქარხანაში ან დაწესებულებაში 30 მუშიდან 15 კომისიაში არის არჩეული. უმთავრესად ამ კომისიების მუშაობა ერთმანეთს უახლოვდება, მათი ფუნქციები ერთმანეთში ერევა და განსაზღვრა მათი ფრიად ძნელი ხდება. ეს კი მუშაობას ძლიერ აფერხებს და თვით მუშებმაც კარგად არ იციან ვის უნდა მიმართონ ამა თუ იმ საკითხის შესახებ, ჩვენი ქარხნებისთვის, სადაც მუშათა რიცხვი ძლიერ ცოტაა, ამდენი კომისიის არსებობა არაფერი საჭიროა. მათ მაგივრად შეიძლება თითოულ საქარხნო კომიტეტის წევრს დაევალოს ამა თუ იმ კომისიის ფუნქციები.

ამრიგათ პროფკავშირების ახალი ამოცანების გადასაჭრელად საჭიროა კავშირის აპარატის—ორგანიზაციების გარდაქმნა-გამარტივება, მათგან ნამდვილი დამცველი ორგანოების შექმნა და მეტი ყურადღების მიქცევა კავშირის წევრების ნივთიერ და კულტურულ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, რაც ყველას დაუმტკიცებს, რომ უკავშიროდ ისინი უძლურნი არიან, რომ კავშირი არის მათი მედგარი დამცველი.

ს. გოდაბრელიძე.

რადიო-დეპეშები

გენუას კონფერენცია

ამერიკა და გენუა.

ბერლინი, 28 მარტი რადიო. ამერიკის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე კროსბი, რომელიც ეკუთვნის დემოკრატიულ პარტიას და იმყოფება ამ ჟამად ბერლინში აღნიშნავს, რომ გენუას კონფერენცია ვერ შესძლებს თქვას უკანასკნელი სიტყვა ევროპაში რეალურ მშვიდობიანობის დამყარების შესახებ, რამდენადაც ამერიკა არ მონაწილეობს კონფერენციაში. კროსბი სავსებით ადასტურებს ამერიკის ოფიციალურ პოლიტიკას, რამდენადაც ამერიკის ინტერესები არ ეჯახებიან ევროპის ინტერესებს, რეალური მშვიდობიანობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ევროპის ხალხთა საერთო შეთანხმება მიგვიყვანს ხალხთა ლიგის რეორგანიზაციამდი, და ახალ ასოციაციის შექმნამდის, რომელშიაც შევლენ ამერიკა, გერმანია და რუსეთი. ეს ახალი საერთაშორისო ლიგა შესძლებს აიძულოს ყველა სახელმწიფოები შეამცირონ თავიანთი შეიარაღებული ძალები აბსოლიუტურ მინიმუმამდე. და ბოლოს კროსბი ამბობს, რომ მას შეუძლებლად მიაჩნია დაფაროს ის საშიშროება, რომ ნახშირი და ნავთი ყოველთვის იქნებიან განხეთქილების საგნად ყველა სახელმწიფოთა შორის.

ლონდონი, 14 მარტი. სეიმსონი გაზეთ „ტაიმსში“ აღნიშნავს იმ მიზეზებს, რომლებმაც აიძულეს ამერიკა უარი ეთქვა გენუას კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე: 1) გენუას კონფერენციაში მონაწილეობის მიღების თანხმობას შეეძლო გამოეწვია ვაშინგტონის კონფერენციის დადგენილებებზე უარის თქმა. 2) ამერიკის საზოგადოებრივ აზრის თანამედროვე განწყობილების გამო რესპუბლიკანურ პარტიისათვის პოლიტიკურად შეუძლებელია დაჯდეს ერთ მაგიდასთან საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებთან. 3) იუზის აზრით გენუას კონფერენციის პროგრამის ცნობილ საკითხებიდან, რომელთა განხილვაც ვაშინგტონის მთავრობას აუცილებლად მიაჩნია, გამორიცხულ უნდა იქნას ხმელეთის შეიარაღების საერთო საკითხი, რუსეთის საკითხის შესახებ სეიმსონი ამბობს: საფრანგეთშიაც კი არ დარჩენილა იმდენად შეურიგებელი და მტრული დამოკიდებულება ბალშევიკებისადმი, როგორც ამერიკაში. თუ მოხდება ვაშინგტონის ხელშეკრულებათა რატიფიკაცია, და თუ გენუაში მიხწეული იქნება სასურველი შედეგები, მაშინ არ ისპობა ამერიკის ეკონომიურ კონფერენციაში მონაწილეობის მიღების საშუალება, რომელიც ალბად მოწვეული იქნება მომავალ შემოდგომაზე.

განოვერი, 16 მარტი. „ვესტმინსტერ გაზეთის“ ცნობით, ლოიდ ჯორჯი ძლიერ ცდილობს დააჯეროს პრეზიდენტი გარდინგი, გამოგზავნოს გენუას კონფერენციაზე ამერიკის ოფიციალური წარმომადგენელი.

გერმანია და გენუას კონფერენცია.

პარიზი, 5 მარტი. „მატენ“ იუწყება, რომ რეიხსტაგის ეკონომიური საბჭო ენერგიულად ემზადება გენუას კონფერენციათვის. საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე გერმანიის მრეწველთა საზოგადოების თავმჯდომარემ ბუხერმა, შეეხო რა რუსეთის საკითხს, თქვა, რომ მისი აზრით გენუას კონფერენციამ უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება მსოფლიო ბაზრის რეორგანიზაციას. ამ თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ რუსეთსაც. საზოგადოდ რუსეთის საკითხი მოითხოვს გერმანიის მრეწველობის მთელი ყურადღებას. გერმანია პრაქტიკულად დაინტერესებულია განსაკუთრებით რუსეთის სატყეო და სამეურნეო მრეწველობით სასურველი იქნებოდა, რომ მოლაპარაკების დროს გენუაში, სწორედ ეს საკითხი იქნას გადაჭრილი გერმანიისთვის დადებითი მნიშვნელობით, ე. ი. რომ გერმანიამ მიიღოს მონაწილეობა რუსეთის სასოფლო და სატყეო მეურნეობა-მრეწველობის აღორძინებაში.

ინგლისი

ინგლისის თვალსაზრისი.

ბერლინი. 29 მარტი, რადიო. ინგლისში გამეფებულია ის აზრი, რომ გერმანიის მთავრობას ჩვეულებრივი ზომებით შეუძლია გააძლიეროს გადასახადის შემოსავალი. გერმანიამ უნდა მიმართოს საშინაო და საგარეო სესხს ერთსა და იმავე დროს, რომ გამონახოს საშუალებანი კონტრიბუციის გადასახდელად. უცხოეთის სესხი გერმანიისათვის სავსებით შესაძლებელია, მაგრამ იგი გამოიწვევს გერმანიის ფინანსიურ მართვაში ჩარევას.

კონტრ-წინადადებისათვის გერმანიას ეძლევა ორი თვის ვადა. გავასის სააგენტოს ცნობით, საკონტრიბუციო კომისია როდესაც უდგენდა გერმანიას ფულის გადახდის მოთხოვნილებას, გამოდიოდა მხოლოდ საფრანგეთის ბიუჯეტისათვის საჭირო მინიმუმიდან.

საკონტრიბუციო კომისიის მოთხოვნილებანი.

ნაუენი. 29 მარტი. რადიო. საქმის მცოდნე ლონდონის წრეში ფიქრობენ, რომ საკონტრიბუციო კომისიის უკანასკნელი ნოტა სრულიადაც არ არის ულტიმატუმის ხასიათისა. ლონდონის გაზეთები აღიარებენ, რომ საფინანსო კონტროლის დაწესება სრულიადაც არ გამოიწვევს ფინანსიურ კატასტროფას. პირიქით: საკონტრიბუციო კომისიის ნოტა იძლევა ერთად განხილვის შესაძლებლობას და ამ შესაძლებლობით გერმანიამ უნდა ისარგებლოს.

„ჩიკაგო ტრიბუნს“ მოყავს ლონდონის გავლენიან ფინანსისტის აზრი, რომელიც აღნიშნავს, რომ გერმანია, იმ შემთხვევაში თუ იგი შეასრულებს საკონტრიბუციო კომისიის უკანასკნელ მოთხოვნილებებს, მივა გაკოტრებამდი და ამის შედეგად გერმანიის ვერც ერთი კრედიტორი ვეღარაფერს ვერ მიიღებს. თუმცა კონტრიბუციის საკითხი გამორიცხულია გენუას კონფერენციის პროგრამიდან, მაგრამ დღითი დღე ცხადი ხდება, რომ შეუძლებელია უახლოეს საერთაშორისო კონფერენციაზე გვერდი არ აუარონ გერმანიის მიერ გადახდის შესაძლებლობის საკითხის განხილვას.

ბერლინი. 29 მარტი. რადიო. საფრანგეთის გაზეთების უმრავლესობა მოუწოდებენ მთავრობას მიიღოს მკაცრი ზომები გერმანიის წინააღმდეგ. „ევრი“ მოითხოვს, რომ კონტროლი გერმანიაში დაამყაროს არა ანტანტამ, არამედ ხალხთა ლიგამ, მით უმეტეს, რომ ეს წინადადება წამოყენებული იყო საფრანგეთის მიერ. ჯერ კიდევ გან საქმეთა მინისტრი ფიქრობს მოლაპარაკების დაწყების ფაშისტებთან და კომუნისტებთან დროებითი შედეგების დასამყარებლად კონფერენციის მსვლელობის დროს. საზღვაო ფეხოსანთა მთავრობის ყველაზე ერთგული ორი ბათალიონი გამზადებულნი არიან გენუაში წასასვლელად.

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანია და ანტანტა.

ნაუენი, 22 მარტი, რადიო. ვირტმა რეიხსტაგში წარმოთქმულ სიტყვაში საკონტრიბუციო კომისიის მოთხოვნილების შესახებ განაცხადა, რომ ეს მოთხოვნილებანი ძლიერ მძიმეა. ვირტს სამართლიანად მიაჩნია ს აღშფოთება და ზიზღი, რომელიც გამოიჩინა გერმანიამ საკონტრიბუციო კომისიის ნოტის მიმართ. რეიხსტაგის წევრმა ლაიტმა მოიწონა ვირტის განცხადება და თქვა, რომ მთელი რეიხსტაგი იზიარებს კანცლერის თვალსაზრისს. საკონტრიბუციო კომისიის მოთხოვნილება ყოვლად მიუღებელია. მეორედ გამოსვლის დროს ვირტმა აღნიშნა გადასახადის სისტემის გატარების საჭიროების აუცილებლობა სახელმწიფოს გადახდილობით შესაძლებლობასთან შეფარდებითი, რომელიც აუცილებლად საჭიროა არა მარტო ეროვნულ და მოქალაქეთა პირადი კეთილდღეობისათვის, არამედ თვით ეროვნულ ძალის შენახვისათვის, ურომლისოდაც წარმოუდგენელია გერმანიის აღორძინება. ვირტი იმეს გამოსთქვამს, რომ მოკავშირეები იცნობენ თავიანთ მოთხოვნილებათა შესრულების შეუძლებლობას. ამასთანავე ვირტმა კატეგორიული უარი განაცხადა გერმანიის ხალხის სუვერენიტეტში ჩარევის ცდის ტ გერმანიის დამოუკიდებლობის შეზღუდვის წინააღმდეგ. არც საზავო ხელშეკრულება, არც ლონდონის ულტიმატუმი არ აძლევენ საკონტრიბუციო კომისიას ასეთი ნოტის წარმოდგენის უფლებას. დასასრულ ვირტმა აღნიშნა, რომ გერმანიის მთავრობა დაწვრილებით განიხილავს ნოტას, სანამ გასცემდეს მასზე პასუხს. ამასთანავე ვირტმა აღნიშნა, რომ ზავმა უნდა არჩიოს ერთხელ და სამუდამოდ შეთანხმების სულსა (რომელიც ასულდგმულებს გენუას კონფერენციას) და საკონტრიბუციო კომისიის უკანასკნელი ნოტის აზრის შორის ერთი რომელიმე. ვირტის სიტყვა დაფარა რეიხსტაგის წევრთა უმრავლესობის ტაშმა.

ინგლისის თვალსაზრისი.

ბერლინი. 29 მარტი, რადიო. ინგლისში გამეფებულია ის აზრი, რომ გერმანიის მთავრობას ჩვეულებრივი ზომებით შეუძლია გააძლიეროს გადასახადის შემოსავალი. გერმანიამ უნდა მიმართოს საშინაო და საგარეო სესხს ერთსა და იმავე დროს, რომ გამონახოს საშუალებანი კონტრიბუციის გადასახდელად. უცხოეთის სესხი გერმანიისათვის სავსებით შესაძლებელია, მაგრამ იგი გამოიწვევს გერმანიის ფინანსიურ მართვაში ჩარევას.

კონტრიბუციის საკითხების გადასინჯვა.

ბერლინი, 29 მარტი რადიო. ბელვილი დაწვრილებით იხილავს საკონტრიბეციო კომისიის წევრთა შორის არსებულ წინააღმდეგობას. ბელვილის აზრით, გერმანიას ორი გზა აქვს: ან უარი თქვას მოკავშირეთა მოთხოვნილებების შესრულებაზე, ან და მიიღოს ეს მოთხოვნილებანი, მაგრამ არ შეასრულოს ისინი ტეხნიკურათ შეუძლებლობის გამო. გერმანიას არ შეუძლია გამოსცეს გადასახადების ახალი კანონი, რომელიც გამოიწვევს არა მარტო მღელვარებას, არამედ მიიყვანს გერმანიას გაკოტრებამდი. ბელვილი მოითხოვს კონტრიბუციის საკითხების საერთო გადასინჯვას.

ხაფრანგეთის მცხოვრებლები.

პარიზი, 5 მარტი. „პტი პარიზიენი“ იუწყება, რომ 1921 წლისათვის საფრანგეთის მცხოვრებლები მნიშვნელოვანად შემცირდა ერთი წლის განმავლობაში. ამ შემცირებას აქვს არა თუ ჩქარი, არამედ კატასტროფიული ხასიათი. მცხოვრებლების ზრდა ეცემა ყოველ თვეში. 1921 წლის პირველ ნახევარში პარიზში გატარებულია რეგისტრაციაში 27489 დაბადება, მეორე ნახევარში კი 24,522. ასეთივე სურათი ემჩნევა დაბადების ჩქარ დაცემას სტრასბურგში, ტულუზაში და სხვა ადგილებში. ამის უმთავრესი მიზეზია ქორწინების შემცირება და მცირე ნაყოფიერება. ამის შედეგად სიკვდილიანობა სჭარბობს დაბადებათა რიცხვს. ამას მიაქცია ყურადღება მცხოვრებლების გადიდების „ნაციონალურმა საზოგადოებამ“, რომელმაც გადასწყვიტა მიიღოს ენერგიული ზომები ამ ნაციონალური უბედურების შემდეგი განვითარების შესაჩერებლად. ამ საზოგადოებას განზრახული აქვს შემოიღოს უსასტიკესი დამსჯელი ზომები პროფესიონალ ექიმების წინააღმდეგ, რომლებიც დახელოვნებული არიან მუცლის მოწყვეტაში. შემდეგ განზრახულია სუბსიდიის შემოღება მრავალ-წევრიან ოჯახებისთვის სხვა და სხვა შეღავათების შემოღება, მათ შორის სამხედრო სამსახურში შეღავათის მიცემისა, გაზ. დასკვნაში აღნიშნავს, რომ იმ დროს როცა საფრანგეთი დგას გადაშენების საზღვარზე, გერმანიის მცხოვრებლების რიცხვი იზრდება სავსებით ნორმალურად: 1920 წელში მოსახლეობის გაზრდა გამოიხატა ციფრში 623,000 კაცით და 1921 წლის პირველ ნახევარში— 369,000 კაცით. გერმანიის მცხოვრებლების საერთო ციფრი, მიუხედავად იმისა, რომ ზემო სილეზია ჩამოშორებულია უდრის 40 მილიონ სულს, იმ დროს, როცა საფრანგეთში ითვლება 39,600,000 კაცი.

დახმარება ამიერ-კავკასიას.

სტამბოლი. „ჯოგოვურდი ძაინ“ იუწყება ინგლისის ქველმოქმედების ორგანიზაციებმა სომხეთისა დახმარებისა, გადასწყვიტეს გაერთიანდენ აქტიური დახმარებისათვის საქართველო, ადერბეიჯანის და სომხეთის დამშეულთათვის. დახმარების გაერთიანებულ ორგანიზაციაში შედიან „ბავშვების გადარჩენის ფონდი“, „სომხეთის მეგობართა ფონდი“, „სომხეთის ლტოლვილთა დახმარების ლორდმერის ფონდი“ და სხვა.

ინგლისის მთავრობამ გადასდო კომიტეტის ფონდისთვის 35,000 გირ. სტერლინგი, „ბავშვთა გადარჩენის ფონდისთვის“ 10,000 გირვანქა სტერლინგი, დახმარების ინგლისის კომიტეტი უკვე შეუდგა მუშაობას ტ გააგზავნა პროდუქტების პირველი პარტია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისთვის. კონსტანტინეპოლში მიღებულია ბათუმით ამიერ-კავკასიაში გადასაგზავნად 500 ტონი ფქვილი, კაკაო, გასქელებული რძე, შაქარი და სხვა.

ახლო აღმოსავლეთის პრობლემა.

სტამბოლი. „ჯოგოვურდი ძაინ“ იუწყება, რომ საბერძნეთის სინოდალურ საბჭომ დაადგინა: 1) მოსთხოვოს საბერძნეთის მთავრობას სტენოგრაფიული ანგარიში საბერძნეთის დელეგაციის ლოიდ-ჯორჯთან და პუანკარესთან მოლაპარაკებაზე საბერძნეთ ოსმალეთის კონფლიქტის ლიკვიდაციის შესახებ, და მეორე— გააგზავნონ ლონდონში და პარიზში პატრიარხატის წარმომადგენლები საბერძნეთის ხალხის ინტერესების დასაცავად.

საბჭომ დანიშნა თავის წარმომად[illegible]

სიმშვილობა რუსეთში

შუეში მომხდარი ამბები.

(მთავრობის ცნობა).

მოსკოვი. 27 მარტი. რადიო. მას შემდეგ, რაც გამოიცა დეკრეტი საეკლესიო განძეულობის ჩამორთმევის შესახებ დამშეულთა გადასარჩენად და მათი მეურნეობის აღსადგენად, სამღვდელოების უმაღლეს წრეებში დაიწყო აშკარა ბოროტი მუშაობა, რაც გამოიხატა მთავრობის საწინააღმდეგო მოწოდებებში, სადაც მოუწოდებენ არ მისცენ მას ოქრო, ვერცხლი, ბრილიანტები და დააგზავნონ ამის შესასრულებლად კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზატორები. სამღვდელოების ბობოლების და გავლენიანი მცხოვრებლების ხშირ თათბირებზე, სადაც უმთავრესად მონაწილეობენ ყოფილი ვაჭრები ტ მსხვილი მოხელეები და რომელნიც განაგრძობენ მორწმუნეთა ჯგუფის ხელმძღვანელ როლის თამაშს, ამ გვარი ბოროტი აგიტაციით, ზოგიერთ ადგილებში მოხდა გაუგებრობა, როდესაც ჩამომრთმევი კომისია შეუდგა თავის მუშაობას სრულ. რუსეთის ცენტრალ. აღმასრულებელ კომიტეტის განსაზღვრული დეკრეტის თანახმად. ქალაქ შუეში, ივანოვო-ვოზნესენსკის გუბერნიაში, ამბებმა მიიღო შეტად მწვავე სახიათი და გამოიწვია რამოდენიმე კაცის მსხვერპლი. მოხსენება სრ. რუს. ც. აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ გაგზავნილი სპეციალური კომისიისა, რომელშიაც შედიოდენ ამხ. ამხ.: სმიდოვიჩი, კუტუზოვი და ბურალოვი გვეუბნება შემდეგს: ივანოვო-სოზნესენსკის გუბერნიის შუეს აღმასკომმა. განძეულობის ჩამომრთმევი საგუბერნიო კომისიის წინადადებით, მოაწყო სამაზრო კომისია 3 მარტს. 9 მარტს დაამთავრეს განძეულობის ჩამორთმევა 3 პატარა ეკლესიაში მორწმუნეთა წარმომადგენლების სრული თანხმობით და ყოველ პროტესტებს გარეშე. 13 მარტს კომისია მივიდა საკრებულო ეკლესიაში, სადაც მას დახვდა ხალხი მტრულად. შეტაკების თავიდან ასაცილებლად, კომისიამ გადასწყვიტა გადადვას თავისი მუშაობა და მიატოვა ეკლესია. იქიდან გამოსვლის დროს ისმის ლანძღვა-გინება. ამ კომისიის წევრებს დაუწყეს ცემა. სცემეს წაქცეულ და ცალკე პირებს, რომელნიც პროტესტს აცხადებდენ ხულიგანების წინააღმდეგ. 14 მარტს სამაზრო კომისია მუშაობს სინაგოგაში და ამთავრებს მუშაობას იმავე დღეს. 15 მარტს საკრებულოს მოედანზე თავს იყრის ხალხის მნიშვნელოვანი ჯგუფი. ისმის „საპროგრომო“ მოწოდებები. მოსული ცხენოსან მილიციას ხვდებიან მუქარითა და ქვების სროლით, სამრეკლოდან იწყებენ განგაშის ცემას. მოედანს აწვებიან მძარცველი ელემენტები. იწვევენ წითელ არმიელების ნახევარ გუნდს. ბრბოდან გაისმის რევოლვერების სროლა. წითელ-არმიელები ისვრიან ჰაერში სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ მძარცველები არ სცხრებიან. ოთხი წითელ-არმიელი გაიტაცა ბრბომ და დაუწყო ცემა. ჯარის პირველი სროლის შემდეგ ბრბო იშლება, განგაშს სწყვეტენ. მოედანზე რჩება ოთხი გვამი ტყვიის ჭრილობით. დაჭრილი და დასახიჩრებული მოქალაქეები აღმოჩნდა 10 კაცი. ჭრილობები მსუბუქია „რიკაშეტით“ ან რევოლვერიდან. რევოლვერებიდან ისროდენ ბრბოში გარეული შავრაზმელები. საღამოს, 15 მარტს მოახდინეს დაპატიმრება მოედანზე შემჩნეულ ვაჭრებისა. დაპატიმრებულია მღვდელი სვეტოზარევი. იმავე საღამოს მორწმუნეთა წარმომადგენლებმა ჩაბარეს აღმასკომში 3 ნახევ. ფუთი ვერცხლი საკრებულოთა ეკლესიებიდან ძეულობიდან. 19 მარტს მოვიდა გამომძიებელი კომისია ივანოვო ვოზნესენსკიდან, და 21 მარტს სრ. რ. ც. აღმასკომის კომისია. დაკითხვაზე მღვდელ სვეტოზარევმა სთქვა, რომ დამშვიდებულ მორწმუნეთ აშფოთებდენ ცალკე პირები, მისთვის სრულებით უცნობნი, რომელნიც ცდილობდენ განძეულობების ჩამორთმევის მუშაობაში უშესოების შეტანას, და რომლებმაც გამოიწვიეს წესრიგის დარღვევა. 19 მარტს შესდგა ქ. შუეში პროფკავშირთა კონფერენცია, რომელმაც გამოიტანა რეზოლიუცია და რომელიც სცნობს ისპოლკომის მოქმედებას კანონიერად და აუცილებელ საჭიროდ ათეულ მილიონ დამშეულების სიკვდილისაგან გადასარჩენად. 22 მარტს ქ. შუეს ფაბრიკის მუშებმა დაადგინეს წინადადება მისცენ საბჭოთა მთავრობის საეკლესიო განძეულობის ჩამორთმევის საქმე მიიყვანოს ბოლომდი და პირდება ამ საქმეში სრულ დახმარებას. 22 მარტს ქ. შუეს მოქალაქეთა კრება, რიცხვით 2000 კაცი, სიხარულით შეხვდა ეკლესიის განძეულობის ჩამორთმევას დამშეულთა გადასარჩენად. 23 მარტს სამაზრო კომისია მორწმუნეთა და სრ. რ. ცენტ. აღმასკომის კომისიის თანადასწრებით შეუდგა ქალაქის სრულ სიმშვიდეში საკრებულო ეკლესიის განძეულობის ჩამორთმევას. ჩამორთმევის ოქმს მოაწერეს ხელი მორწმუნეთა წარმომადგენლებმა და კრებულის წევრებმა ყოველივე წინააღმდეგობის გაუწევლად. საბჭოთა მთავრობა ამ ფაქტებს აცნობებს დამშეულ გლეხებს და ქვეყნის ყველა მცხოვრებლებს. მთავრობას ფიქრადაც არ მოსვლია მორწმუნეთა და ეკლესიის შევიწროება, რამდენადაც ის არ წარმოადგენს მუშურ-გლეხური სახელმწიფოს წინააღმდეგ კონტრ-რევოლიუციონური ბრძოლის ორგანიზაციას.

რელიგიოზური ადათების ასრულებას სრულიადაც არ ავნებს ძვირფასი საგნების სხვა საგნებით შეცვლა, განძეულობით კი შეიძლება ჰურის და თესლის ყიდვა, რომ გადარჩენილ იქნას სიცოცხლე და მეურნეობა ვოლგის განაპირა გუბერნიების გლეხებისა. ძუშების, გლეხების, წითელ-არმიელების და დამშეულთა მოთხოვნილებით სრულიად რუსეთის ცენტ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა მოახდინოს საეკლესიო განძეულობის ჩამორთმევა. დაბალი სამღვდელოების უდიდესმა ნაწილმა სცნო დეკრეტი კანონიერად, მხოლოდ ეკლესიის ბობოლების ჯგუფს, რომელიც დაჩვეულია ფუფუნებას და ოქროს, არ უნდა გასცეს ეკლესიის სიმდიდრე მილიონი დამშეულების გადასარჩენად, და აწყობს კიდეც ბოროტ-განზრახულ შეთქმულებებს. ამგვარი მოქმედება ჰასუხი იყო იმ ლმობიერებაზე, რომელიც გამოიჩინა საბჭოთა მთავრობამ მორწმუნეთა მიმართ.

იცავს რა წინანდებურად სრულ ყურადღებას, რწმენის თავისუფლებას, საბჭოთა მთავრობა ვერ მოითმენს, რომ ეკლესიების პრივილეგიურ მმართველებმა შექმნან განსაკუთრებული სახელმწიფო ეკლესიის თავადებისა, მეფის ბიუროკრატია და ბურჟუაზია (დამახინჯებულია)... საბჭოთა მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედება დაიმსხვრა. თუ სამღვდელოების უმაღლესი წრეები დაადგებიან იმავე გზას, მათზედაც თავის დროზე დაეშვება საბჭოთა მთავრობის ფოლადისებური ხელი.

გენელად ლონდონში ვენიზელოსის მთავრობასთან ყოფილი გენერალური კონსული ჯონსტავრიგისი, და პარიზში—საბერძნეთის ადგილ-ბრივი კალონიის წარმომადგენელი ტრიანდაფილიდისი. ამ დაარსონ კონსტანტინეპოლში პატრიარხატთან საგანგებო პოლიტიკური კომისია.

კომუნისტების დევნა.

ბერლინი. „როტე ფანე“ ბეჭდავს ჰელსინგფორსიდან მიღებულ დეპეშას, რომელშიაც იუწყებიან, რომ ფინეთის შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, დატუსაღებული არიან ფინეთის კომუნისტური პარტიის გამოჩენილი წევრები, მათ რიცხვში კომუნისტური პარტიის გაზეთის პასუხისმგებელი რედაქტორი, რომელმაც დაბეჭდა მოწოდება საბჭოთა რუსეთის დასახმარებლად ბრძოლის გაძლიერებაზე. ყველა დატუსაღებულებს წაუყენეს სახელმწიფოს ღალატის ბრალდება.

ინგლისი და ავღანისტანი.

ბერლინი, 8 მარტი. „ალგემაინე ცეიტუნგ“-ი აღნიშნავს, რომ ინგლისი ძლიერ დაფიქრებულია თავისი მომავალი დამოკიდებულებით ავღანისტანთან. ცოტა ხნის უკან დადებულ ხელშეკრულების თანახმად, ინგლისს ჯარს არა აქვს უფლება გადავიდეს ეგრედ წოდებულ დურანის საზღვარზე, თუ წინასწარ არ აცნობა [illegible] ავღანეთის მთავრობას. ინდოეთს [illegible] ინგლისი [illegible] ავღანისტანს შორის მცხოვრები ხალხი ქვეშევრდომია ემირ კაბულისა, რომელიც ღებულობს ყოველივე ზომებს ოლქში მშვიდობიან განწყობილების დასაცავად, რითაც ამ რიგად საშუალებას უკარგავს ბრიტანეთის სამხედრო ძალებს ავღანისტანის საზღვრებში შემოჭრისას.

ამერიკა და რუსეთი.

ბერლინი, 8 მარტი. ვაშინგტონის გაზეთი „ნეპტუნი“ იტყობინება საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობებს იმის შესახებ, რომ ეხლა ამერიკა ისევე შორს არის რუსეთის ცნობიდან, როგორც იყო ის ერთი წლის უკან. სტატს სეკრეტარი იუჟის განცხადებით, რუსეთს აქამდის არ დაუკმაყოფილებია ამერიკის მოთხოვნილებები, და ამიტომ ამერიკა უარს ამბობს რუსეთის ცნობაზე, გაზეთი აღნიშნავს, რომ ამერიკის მოთხოვნილებები ეხება რუსეთის შინაურ მმართველობას, ეს კი ნიშნავს შინაურ საქმეებში ჩარევას, რაც ეწინააღმდეგება ამერიკის კონსტიტუციას.

ხოლიდარობის დემონსტრაცია.

ბერლინი, გენუადან მოსულ ცნობებით რუსეთის დამშეულთათვის სურსათით დატვირთულ გემის წასვლის დროს, რომელიც შეგროვილი იყო იტალიის მუშათა ორგანიზაციების მიერ, მოხდა გრანდიოზული დემონსტრაცია საბჭოთა რუსეთის პატივ[illegible] [illegible]ცემლად. დემონსტრაციაში მონა-

წილეობა მიიღეს ლიგურიის მუშებმა. მუშები 150 დროშით გაემართენ ნავთ სადგურში გემის წასვლის დროს სოციალისტურ და კომუნისტურ პარტიების, პროფკავშირების, მეზღვაურთა კავშირის წარმომადგენლებმა და რომში მყოფ რუსეთის სავაჭრო დელეგაციის წევრმა წარმოთქვეს სიტყვები რუსეთის და იტალიის მუშების სოლიდარობის შესახებ.

ანტანტის ახალი მოთხოვნილებანი. ნაუენი. 28 მარტი (რადიო). მოკავშირეთა სამხედრო საკონტროლო კომისიამ მოითხოვა, რომ გერმანიის ყველა სახელმწიფოებმა 5 აპრილამდი იცნონ ბულონში და პარიზში შემუშავებული პრინციპები, რომლის თანახმადაც გერმანიის პოლიცია უნდა შემცირებულ იქნას 1913 წლამდე არსებულ პოლიციის ორგანიზაციამდი.

ქრონიკა

დამშეულთა სასარგებლოდ

საღამო—წარმოდგენები. რუსეთის დამშეულთა დამხმარე სრულიად რუსეთის ცენტრალურ კომიტეტმა მოაწყო მთელი რიგი სამხატვრო გამოფენებისა და აგრეთვე რამდენიმე ჯგუფი ოპერის, დრამის, ბალეტის არტისტებისა და ცნობილ მემუსიკე და მომღერალ სოლისტების ჯგუფები საზღვარ გარედ გასაგზავნად. გერმანია, იტალიასა, საფრანგეთისა და ამერიკაში იქ საღამოების, წარმოდგენების და კონცერტების მოსაწყობად რუსეთის დამშეულთა სასარგებლოდ, გამოფენების და არტისტების ჯგუფები მიემგზავრებიან 1 აპრილიდან.

საქართველოს დამშეულთა დახმარება. საქართველოს დამშეულთა დამხმარე ცენტრალური კომიტეტი 1 აპრილიდან აწყობს ქალ. თბილისში და საქართველოს ყველა ქალაქებში საღამოებს, კონცერტებს და ლექციებს საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ.

ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში. სათბობის ხარჯის შესამოკლებლად აირჩიეს კომისია, რომელსაც დაავალეს გამოიკვლიოს საკითხი—შესაძლებელია თუ არა, რომ მტკვრის მარცხენა ნაპირის და ქალაქის ქუჩების განათება გადაეცეს ქალაქის ელექტრონის სადგურებს და ტრამვაის ელექტრონის სადგური განთავისუფლდეს ამ განათებისაგან

ტრამვაის ტარიფი. ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის, დადგენილების თანახმად 27 მარტიდან ტრამვაის ტარიფს დაუკლეს. დააწესეს შემდეგი ნიხრი: ერთი გზა—5,000 მან., ორი გზა—10,000 მ., განაპირა უბნებში—5,000 მან., წითელ არმიელებისთვის ყველა ხაზებზე—5,000 მან.

საბინაო საკითხი. ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცა იმავ კომიტეტის მიერ შემუშავებული სავალდებულო დადგენილება საბინაო საკითხის შესახებ.

დახმარება დამშეულებს. ხელოვნებისა და განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ მმართველობის პრეზიდიუმის სხდომაზე დაადგინეს გადაახდევინონ კავშირის წევრებს 1 თებერვლიდან ორ-ორი პროცენტი ყველა მათი ულუფისა და ჯამაგირისა.

კონცერტი დამშეულთა სასარგებლოდ. 27 მარტს რესტორან „ხიმერიონში“ შესდგა დიდი კონცერტი-კაბარე საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ. კონცერტმა დიდის წარჩინებით ჩაიარა. საუკეთესო არტისტიულ ძალების მონაწილეობით საღამოს შემოსავალი ავიდა 40.000,000 მან. ასეთივე წარმოდგენა—საღამო საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ გამართული იყო ამერიკის კომიტეტის განის ქუჩის სასადილოს გამგის კაზაკოვიჩის მიერ ამავე სასადილოს ბინაზე. წარმოდგენილი იყო სცენები კოსტიუმებში ოპერიდან „ევგენი ონეგინი“. სახელმწიფო ოპერის არტისტების მონაწილეობით. სასადილოს დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით.

საბჭოთა მუშაკების კავშირის კომფრაქციის სხდომა დღეს საღამოს სრულ 4 ნახ. საათზე პროფკავშირთა საბჭოს მცირე დარბაზში დანიშნულია საბჭოთა მუშაკების კავშირის კომფრაქციის საერთო კრება. ყველა ამხანაგები ვალდებულნი არიან გამოცხადდენ

თეატრი და ხელოვნება

— **ლიტოს გამოცემები.** პოლიტგანათლების ლიტოს მიერ გამოსაცემათ დამზადებულია შემდეგი წიგნები: 1) რკინის დევი (მოთხრობა) ვასილ ბარნოვის. 2) არსენა ჯორჯიაშვილი—ზ. ჭიჭინაძის. 3) ლენა (პიესა). 4) გ. ქუჩიშვილის ლექსები. 5) გაუმარჯოს ხალხს (პიესა) პოლ ერვიესი. 6) პარიზის კომმუნა (პოემა) ნ-ისა. 7) ყაჩაღობა და ფიქრალობა საქართველოში—დ. არონიშიძისა.

— **უურნალი ხომალდი.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ყოველთვიური სახელოვნო - სალიტერატურო ჟურნალი „ხომალდი“-ს № 3. მონაწილეობენ: ს. აბაშელი, ხარიტონ ვარდოშვილი, იასამანი, ობოლი მუშა, ლეო ქიაჩელი, ვ. რუხაძე, დემნა შენგელაია და სხ.

— **სამხატვრო აკადემია.** სამხატვრო აკადემიის რექტორათ დამტკიცებულ იქნა გიორგი ჩუბინაშვილი, პროორექტორათ სარკისიანი.

— **ქართველ პოეტ ქალების ანტოლოგია.** შალვა აფხაიძემ დაამზადა ძველი და ახალი პოეტ ქალების ანტოლოგია, რომელსაც მოკლე ხანში გამოცემს სახელმწიფო გამომცემლობა.

— **„ლომისი“.** გამოვიდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის „ლომისის“ №№ 6 და 7. ჟურნალში მოთავსებულია: ალ. შანშიაშვილის დრამატიული პოემა „როდამ“. კ. მაყაშვილის და იასამანის ლექსები. შიო არაგვისპირელის და ია ეკალაძის მოთხრობები და ვასილ ბარნოვის რომანი. წერილები: დ. კასრაძის და ს. აბაშიძის. ნეკროლოგი: თედო რაზიკაშვილი, ლ. ნათაძე. სამხატვრო ქრონიკა.

— **ნიკო გოცირიძის საღამო.** დღეს, სახალხო სახლში გაიმართება ნიკო გოცირიძის საღამო. წარმოდგენილი იქნება „მსხვერპლის“ 1 და 2 მოქმედება და „ხანუმა“-ს მე-2 და მე-3 მოქმედება. მონაწილეობს მთელი დასი.

— **ქართული დრამატიული სტუდია.** აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით დაარსდა ქართული დრამატიული სტუდია. სტუდია თავის საშუალებათა გასაძლიერებლათ ამ დღეებში გამართავს საღამოს, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ თფილისის საუკეთესო ქართული და რუსული ძალები.

— **კონსერვატორია.** 3 მარტს შესდგება დიდი კონცერტი პეტროგრადის სახელმწიფო თეატრების არტისტ—ქალის პ. ვ. პანინისა. კონცერტში მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო ოპერის საუკეთესო ძალები. პროგრამაში შეტანილია რუსის და უცხოელ კომპოზიტორების ნაწარმოებნი.

— **დღეს თეატრებში: სახელმწიფო ოპერა**—ბალეტი-გრენადას ყვავილები. **რუსთაველის თეატრი**—ასლი და კორამი სომხურ ენაზე. **პატარა თეატრი**—თურქული წარმოდგენა. **რევ.-მხატვრული თეატრი**—პრემიერა პიესა გ. რობაქიძისა „ლონდა“. **სახალხო სახლი**—„საღამო“. **საკამერო თეატრი**—სომხური წარმოდგენა, **მუშათა ცენტრალური კლუბი**—მელითონელთა საღამო. **მ. ც. კ. ახალი თეატრი**—კინო. **პროფსახბჭოს დარბაზი**—ლიტერატურული - მუსიკალური საღამო.

პარტიული ცხოვრება

მისალმება ამხ. ფ. მახარაძეს

ქუთაისის მაზრის ახ. კომ. კავშირის მე-2 ლეგალური კონფერენცია მიესალმება ჩვენს გაჭაღარებულ ბელადს, რევოლიუციის ქარცეცხლში გამობრძმედილს, ამხ. ფილიპე მახარაძეს.

უსურვებს მას დღეგრძელობას და იმ იდეალებისათვის ბრძოლას, რომელიც მისი მეოხებით ფესვებ გადგმულია ქართველ მშრომელ გლეხკაცობის შორის და რომლის ერთი ნაპერწკალთაგანი ღვივის საქ. ახალ. გაზრდათა კომ. კავშირის რიგებში.

კონფერენციის წევრები კომუნისტურ ფიცსა სდებენ, რომ თავის ერთგულ ბელადების მიერ ნაჩვენებ გზას არას დროს არ გადაუხვევენ და ერთხელ და სანუდამოთ უტყუარ გარანტიას იძლევიან, რომ კომუნისტურ კლასის ინტერესებია. კომუნისტური პარტიის მუშათა კლასისაგან განცალკევებული არსებობა წარმოუდგენელია. რაშიც მდგომარეობს პარტიასა და უპარტიო მუშურ მასსას შორის კავშირის შესუსტება.

პირველი საგრძნობია უპარტიო მასსის ერთგვარი მოწყვეტილობა პარტიისაგან, ზოგიერთ ცალკე მუშებს ებადებათ უნდობლობა კომუნისტებისადმი, უპარტიონი არა იშვიათად მალავენ კომუნისტებისაგან თავიანთ აზრებს და თავიანთ დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი, კომუნესტებთან ზოგჯერ ეშინიათ გამოსთქვან თავიანთი უკმაყოფილება სამეურნეო და საბჭოთა ორგანოებზე ფარავენ მას.

მეორე მხრივ, კომუნისტებს ხშირად სწორად არ ესმით თავიანთი ამოცანები, გამოდიან უპარტიო მასსის წინააღმდეგ, მაშინაც კი, როცა ის სამართლიანად სჩივის ჩვენი საბჭოთა ორგანოებზე, ბიუროკრატიზმზე და სხ. გამოდიან ჩვეულებრივი შაბლონიური მოწოდებით, იმის მაგივრად, რომ საქმიანი გზით მიუდგნენ საკითხს, მიუთითონ ჩვენს საბჭოთა ორგანოებში ზოგჯერ ბიუროკრატიზმის მთელ აუცილებელ ხასიათზე, გამოარკვიონ მიზეზები ყველა ნაკლულევანების, და პრაკტიკული ზომებით დაამტკიცონ, რომ ჩვენი პარტია გამუდმებით იბრძვის ყველა ამ ავადმყოფობათა და მოვალეობის წინააღმდეგ. კომუნისტები არ უნდა გამოდიოდნენ მუშების გამამტყუნებლების როლში ყველა შემთხვევაში. საჭიროა ნაკლები შაბლონიური გამოსვლები ამა თუ იმ შემთხვევაში, ნაკლები სახაზინო სიტყვები, ვინაიდან ყველაფერი ეს სცემს კომუნისტის ავტორიტეტს უპარტიო მასსის თვალში. საჭიროა მდგომარეობის ფხიზელი გათვალისწინება და გონიერი მიდგომა საკითხის სურათის გადაჭრისადმი, მასსებში მეტი სიმპატიის და ნდობის მოსაპოებლად.

მუშაობენ რა ადგილობრივად, კომუნისტები და მთელი კომიაჩეიკა განუწყვეტლივ უნდა ზრუნავდენ მუშების ნივთიერ საჭიროებაზე, განუწყვეტლივ იბრძოდნენ ბიუროკრატიზმის და ხელისუფლების აპარატების ხშირად „ჩინოვნიკური“ დამოკიდებულების წინააღმდეგ ამა თუ იმ საკითხისადმი, რომელიც დაკავშირებულია მუშების ყოფა-ცხოვრებასთან. სახელოსნოებში, ქარხნებში, ფაბრიკებში ან დაწესებულებაში კომუნისტი უნდა იყოს მეტად პატიოსანი და ავტორიტეტიული უპარტიოთ შორის.

თბილისის კომიტეტი კვლავ გამოსთქვამს საჭიროებას კომიაჩეიკების საჯარო სხდომების გამართვისა და უპარტიო რაიონულ კონფერენციების პერიოდულ მოწვევისას. იმ მიზნით, რათა გაძლიერდეს და განმტკიცდეს კავშირი უპარტიო მასსასთან სისწორით იქნეს გამორკვეული მისი განწყობილება, დამოკიდებულება ხელის უფლებისა და ჩვენი პარტიისადმი, საქართველოს კ. პ. თბ. კომიტეტი წინადადებას იძლევა ეს საკითხი დასმულ იქნას რაიონულ კომიტეტების სხდომაზე, ყოველმხრივ გაშუქებული და გამომუშავებული პრაკტიკული გეგმა უპარტიო მასსასთან კავშირის დამყარებისათვის.

თბ. კ. მდივნის მაგ. **ჯორბენაძე.**
ორგ. განყოფილების გამგე **რუბენი.**

—

ყველა რაიკომებს
ცირკულიარულად № 152
მიჩენილ ამხანაგების შესახებ

1. თბ. კ. წინანდელი ცირკულიარის თანახმად მიჩენილ ამხანაგების შესახებ, უკანასკნელები ითვლებიან იმ იაჩეიკის წევრებად, რომელზედაც მიჩენილნი არიან. კომიაჩეიკების მდივნებმა უნდა აწარმოონ სწორი ანგარიში მიჩენილ ამხანაგების მიერ კომიაჩეიკების სხდომების დასწრებისა და ყველა პარტიულ მოვალეობათა ასრულებისა. 1-ლი აპრილიდან დაწყებული, რაიკომებმა შეადგინონ საერთო ანგარიში იაჩეიკებზე მიჩენილ ამხანაგების მიერ სხდომების და სწრებისა, რომელი ანგარიშიც უნდა წარდგენილ იქნას თბ. კომიტეტში პარტიულ დისციპლინის დამრღვევლების პასუხისგებაში მისაცემად.

2. მიჩენილი პასუხისმგებელი ამხანაგი უეჭველად არ უნდა იყოს მუდმივი მომხსენებელი ყველა საკითხებზე, არამედ უნდა ცდილობდეს უხელმძღვანელოს იაჩეიკების მუშაობას, განავითაროს თაოსნობა და თვითმოქმედება იაჩეიკის თითეული წევრის, და რაც შეიძლება მეტი ამხანაგები ჩააბას გამომთქმელთა წრეში.

3. ხელმძღვანელობს რა იაჩეიკის სისტემატიურ მეცადინეობას, მიჩენილ ამხანაგმა თვალყური უნდა ადევნოს, რათა მეცადინეობა არ გადაიქცეს „კომუნიზმის ანბანის“ ცალკე თავების ან სხვა წიგნის და ბროშურის მშრალ კითხვად, არამედ მეცადინეობა მიმდინარეობდეს შესაუბრების წესით. მიჩენილი ამხანაგები ყოველნაირად უნდა გაურბოდნენ „კაზიონშჩინას“,—შაბლონებს და თავის ვალდებულებისადმი ფორმალურ დამოკიდებულებას (მოვიდა, წაიკითხა მოხსენება, არ დაუცადა დასასრულს და წავიდა) პირიქით როგორც უფროსი შეგნებული ამხანაგები, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ეკიდებოდნენ მუშაობას და თავისი უმცროს ამხანაგების (შეგნებით) აღზრდას.

4. მიჩენილი ამხანაგები შეძლებისდაგვარად უნდა ესწრებოდნენ კომიაჩეიკის ბიუროს სხდომებს და წარმართონ როგორც ბიუროს, ისე მდივნის მუშაობა.

5. რაიკომებს მართებთ დროგამოშვებით მოაწყონ მიჩენილ ამხანაგების თათბირი, რათა გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება, ურთიერთი ინფორმაცია და ამ გზით შეათანხმონ კომიაჩეიკების მუშაობის ხელმძღვანელობა.

თბ. კ. მდივნის მაგ. **ჯორბენაძე.**
ორგ. განყოფილების გამგე **რუბენი.**

ნარმოებითი პროფკავშირებში

ყველა სამაზრო პროფბიუროებს, სამაზრო განყოფილებებს და კავშირების ც. გამგეობებს.

სამაზრო განყოფილებების აღდგენის, სამაზრო პროფბიუროების შემცირების, რწმუნებულთა სისტემის შემოღების და სამდივნოების გაუქმების შესახებ.

(ხ. პ. კ. ს. ორგანყოფილების ცირკულიარი № 10)

პროფკავშირების ამოცანების შეცვლასთან დაკავშირებით, რომელნიც ძირეულად ცვლიან ორგანიზაციული მშენებლობის პოლიტიკას, მთელი მუშაობის სიმძიმის ცენტრის ჰორიზონტალურ ხაზებიდან ვერტიკალზე გადატანის და მრეწველობის ცალკე დარგების კავშირებისათვის ერთგვარი თაოსნობის და თვითმოქმედების მინიჭების მიმართულებით, საქართველოს პროფორგანოების წინაშე დგება ამოცანა სამაზრო სექციების ლიკვიდაციის და მათ ნაცვლად სამაზრო განყოფილებების აღდგენის, სამაზრო პროფბიუროების ფუნქციების შეზღუდვის, ზოგიერთი მათგანის შემცირების, რწმუნებულთა სისტემის შემოღების და რაიონულ სამდივნოების გაუქმების შესახებ.

აღნიშნულ ამოცანების განხორციელების მიზნით, ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა ყრილობის და ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, ს. პ. კ. ს. ორგანყოფილება წინადადებას აძლევს ყველა სამაზრო პროფბიუროებს და კავშირთა ცენტრალურ გამგეობებს გაატარონ ცხოვრებაში ქვემოდ ჩამოთვლილი ღონისძიებანი, ამასთან ეს მუშაობა უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს 15 აპრილისა.

სამაზრო განყოფილებების შესახებ

1. ყველა სამაზრო სექციები ითვლებიან გაუქმებულად, მათ მაგივრად ეწყობიან სამაზრო განყოფილებები.

2. სამაზრო განყოფილებები ეწყობიან, თუ მაზრაში არის კავშირის არა ნაკლებ 100 წევრისა. კავშირები, რომელნიც აერთიანებენ 100 წევრზე ნაკლებს, თავის სამაზრო განყოფილებებს არ ქმნიან, სამაზრო განყოფილებების ფუნქციებს ასრულებენ ადგილობრივი კომიტეტები შემდეგი წესით:

შენიშვნა: 1. თუ ადგილკომები იმყოფებიან სამაზრო ცენტრებში, განყოფილებების ფუნქციებს ასრულებს მათგან უფრო მრავალ-რიცხოვანი.

შენიშვნა 2. თუ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები დაქსაქსულია მაზრებში, ყველა ადგილკომების ხელმძღვანელობას კისრულობს ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტი, რომელიც იმყოფება სამაზრო ცენტრში ან მის მახლობლად.

შენიშვნა 3. თუ აღებულ წარმოების კავშირის ყველა წევრები თავმოყრილი არიან ერთ წარმოებაში და რიცხვობრივად კიდეც აღემატებიან 100 კაცს, განყოფილებებს არ აარსებენ, განყოფილებების მუშაობა ეკისრება ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტს.

3. ყველა სამაზრო განყოფილებანი და ადგილკომები, რომელნიც მოქმედებდნენ განყოფილებების უფლებებით, მუშაობენ თავისი რესპუბლიკანურ საკავშირო ორგანოს უშუალო ხელმძღვანელობით და ატარებენ ყველა მის დირექტივებს და მუშაობის გეგმას.

4. სამაზრო განყოფილებები აგრეთვე ამყარებენ კონტაკტს სამაზრო პროფბიუროებთან ან ს. პ. კ. ს. რწმუნებულთან, წმინდა ადგილობრივი საკითხების გადასაჭრელად, იმ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომლებსაც აყენებენ სამაზრო და რესპუბლიკანური ორგანოები და საერთოდ მთელი თავისი პროფესიულ მუშაობის შესათანხმებლად მაზრაში.

სამაზრო პროფბიუროების შესახებ

5. მაზრებსა და ქალაქებში, რომელთაც აქვთ დიდი სამრეწველო მნიშვნელობა ან შეიცავენ ვრცელ ტერიტორიას და სადაც ითვლება არა ნაკლებ 2000 წევრისა, რჩება სამაზრო პროფბიურო. ასეთია მაზრები: ქუთაისის, შორაპნის, ოზურგეთის, სენაკის, გორის, თელავის და ქალაქები: ფოთი და ბორჯომი. უკანასკნელნი მუშაობენ საქალაქო პროფბიუროების უფლებებით. ბათომსა და სოხუმში ეწყობიან პროფსაბჭოები, რომელნიც უშუალოდ ექვემდებარებიან ს. პ. კ. ს. საბჭოს.

6. დანარჩენ მაზრებს: ახალციხის, დუშეთის, ბორჩალოს, სიღნაღის, ზუგდიდის, ახალქალაქის და რაჭისას სამაზრო პროფბიუროების მაგიერად აყავთ ს. პ. კ. ს. რწმუნებულები.

7. თიანეთს არ აყავს არც სამაზრო პროფბიურო, არც რწმუნებული, რწმუნებულის ფუნქციები ეკისრება წარმოებითი—მსხვილ კავშირს.

8. რწმუნებულების შესახებ დებულების გამომუშავებამდე, მათ გამოყოფენ თავიანთი წრიდან სამაზრო პროფბიუროები და პირველნი ეწევიან წინედ არსებულ სამაზრო პროფბიუროების ყველა სამუშაოს. სამაზრო პროფბიუროები აუქმებენ ყველა თავის განყოფილებებს და საქმეებს გადასცემენ რწმუნებულებს.

9. განთავისუფლებულ საუკეთესო მუშაკებს, რწმუნებული შეძლების დაგვარად სტოვებს საკავშირო მუშაობაზე სამაზრო განყოფილებებში. დანარჩენი მუშაკები უბრუნდებიან თავიანთ დაზგებს. ამასთან, მიუხედავად შტატების შემცირებისა, ისინი უნდა იქნან შეყვანილნი წარმოებათა შტატებში.

სამდივნოების შესახებ.

10. ყველა არსებული სამდივნოები უნდა იქმნან გაუქმებულნი. ადგილეკომები, ფაბკომები, რომელნიც არსებობენ დაბებში ან გაბნეულნი არიან მაზრებში, უშუალოდ უკავშირდებიან თავის სამაზრო განყოფილებებს. ყველა დირექტივებს და დარიგებებს იღებენ მათგან.

მსხვილ სამრეწველო რაიონებში, (სამტრედია, ტყვიბული და სხ.) სამდივნოების ფუნქციებს ასრულებენ წარმოებითი მსხვილი კავშირები.

სამაზრო განყოფილებების და სამაზრო პროფბიუროების შტატი.

სამაზრო განყოფილებებისათვის წესდება შემდეგი შტატი:

კავშირს, რომელიც აერთიანებს მაზრის მასშტაბით 100-დან 300 წევრამდე, აყავს 1 პასუხისმგებელი მუშაკი.

კავშირს, რომელიც აერთიანებს 300-დან 500-დე,—1 პას. მუშ. და 1 ტეხნიკური მუშაკი. კავშირს 500-დან და მეტი წევრით—1 პასუხ. მუშ. და 2 ტეხნიკური მუშაკი.

სამაზრო პროფბიუროებისათვის წესდება შემდეგი შტატები:

	პასუხ. მუშ.	ტეხნ. მუშ.	სულ	
ქუთაისი	4	4	8	
ბათომი	6	6	12	
სოხუმი	3	4	7	
ყვირილა	1	1	2	
ოზურგეთი	2	1	3	
სენაკი	2	1	3	
გორი	2	1	3	
ფოთი	3	2	5	
ბორჯომი	2	1	3	
თელავი	1	1	2	
სულ	26	22	48	(ეს არ შეედის პერსონალი, რომელიც შენობას ეყრდნობა).

დანარჩენ მაზრებს აყავთ რწმუნებულები: (თითო პასუხისმგებელი მუშაკი). ეს მაზრები შემდეგია: ზუგდიდი, ახალციხე, დუშეთი, ბორჩალო, სიღნაღი, ახალქალაქი, რაჭა).

განყოფილებათა მუშაობის განაწილება.

სამაზრო პროფბიუროს განყოფილებების მუშაობის განაწილების დროს პასუხისმგებელ მუშაკებს შორის სასურველია ხელმძღვანელობა შემდეგი წესით: სამაზრო პროფბიუროები, რომელთაც ჰყავთ ორი პასუხისმგებელი მუშაკი, სამაზრო პროფბიუროს მდივანს აკისრებენ მუშაობას: 1) მდივნისა, 2) ორ განყოფილების გამგისა.

მეორე პასუხისმგებელ მუშაკს აკისრებენ: გამგებლობას წარმოების შრომის მომწესრიგებელ განყოფილების, შრომის დაცვისა და კულტგანყოფილებისას. სამაზრო პროფბრიუროებს რომელთაც ჰყავთ სამი პასუხისმგებელი მუშაკი, ბიუროს მდივანს გადასცემენ კულტგანყოფილების გამგებლობას; მეორე პასუხისმგებელ მუშაკს მხოლოდ ორ განყოფილებას, ხოლო მესამეს დააკისრებენ შრომის მომწესრიგებელ და შრომის დაცვის განყოფილებების გამგებლობას.

სამაზრო განყოფილებების მთელი მუშაობა ეკისრება გამოყოფილ პასუხისმგებელ მუშაკს, მაგრამ სასურველია, რათა ზოგიერთი განყოფილებების გამგებლობა განაწილებულ იქნას განყოფილების დანარჩენ მუშაკებს შორის უსასყიდლოდ, ისინი ამ მოვალეობებს აასრულებენ საღამოობით და თავისუფალ საათებში.

ს. პ. კ. ს. მდივანი **ნ. კიკნაძე.**

ს. პ. კ. ს. ორგ. განყოფილების გამგე **ოდილავაძე.**

—

ს. პ. კ. ს. საორგანიზაციო განყოფილების ცირკულიარი № 11.

დამატებით ს. პ. კ. ს. საორგანიზაციო განყოფილების მიერ გამოცემულ ცირკულიარ № 10, სამაზრო განყოფილებების აღდგენაზე და სამაზრო პროფბიუროს ტ სეკრეტარიატების ლიკვიდაციაზე, წინადადება ეძლევა ყველა სამაზრო პროფბიუროების ლიკვიდაციაზე არა უგვიანეს 15 აპრილისა. იმ მაზრებში, სადაც იქნებიან ს. პ. კ. ს. რწმუნებულნი სპეციალური ტეხნიკური აპარატი მათთვის არ უნდა დაარსდეს და ისარგებლონ მსხვილ კავშირების აპარატებით. სამ. პროფბიუროს შემოკლებამდე ან მის ლიკვიდაციამდე, მათი თანამშრომლების შენახვა უნდა ხდებოდეს აუცილებლად სამაზრო პროფბიუროს ხარჯებით. ამიტომ ყველა საწევრო გადასახადი 15 აპრილამდე უნდა შევიდეს სამ. პროფბიუროს სალაროში. აღნიშნული ვადის შემდეგ კი სამაზრო განყოფილებები სწყვეტენ ყოველივე გადასახადის შეტანას სამ. პროფბიუროში. ისინი გადადიან ხარჯთ-აღრიცხვის სისტემაზე არსებობისა, და უგზავნიან ჯამის ნაშთს თავის ცენტ. სამმართველოებს თანახმად ს. პ. კ. ს. გამომუშავებულ დებულებებისა, რწმუნებულნი 15 აპრილიდან თავისთვის ხარჯს ღებულობენ ს. პ. კ. საბჭოსაგან. სამ. პროფბიუროები კი თავისი ხარჯებისათვის ადგენენ ხარჯთალრიცხვას ს. პ. კ. საბჭოში, რომელიც 21 აწვდის ფულს. შრომის სასახლეები წინანდებურად რჩებიან ს. პ. კ. ს. რწმუნებულების და სამ. პროფბიუროს განკარგულებაში, ამასთანავე ისინი ვალდებულნი არიან დაუთმონ პროფორგანიზაციებს და შეძლებისადაგვარად შრომის განყოფილებებს ბინები ამ სასახლეებში. დეფიციტი შრომის სასახლის შენახვაში უნდა დაფარონ შრომის სამაზრო განყოფილებებმა. ამ უკანასკნელის შესახებ უახლოეს დროში ეცნობება შრომის სახალხო კომისარიატებს.

თესვის კამპანია

(საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის საინფორმაციო განყოფილების ცნობა.)

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელმა კომიტეტმა შემდეგი მოწერილობა გაუგზავნა შინაგან საქმეთა და მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატებს:

საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ მომავალ ზაფხულზე მოსალოდნელია ადგილი ექნეს გვალვას, რაიც მიმდინარე წლის მოსავალს დიდ ზიანს მიაყენებს; აღმასრულებელ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია აამოძრაოს ყველა ძალები, რომელთაც ეს შეეხება, რათა ხვნა-თესვა რაც შეიძლება ადრე იქნეს დაწყებული და უსათუოდ დასრულდეს აპრილის ბოლომდე.

კომიტეტი გავალებთ თქვენ მიიღოთ კატეგორიული და ენერგიული ზომები ამ მხრით და მოაწყოთ ფართო აგიტაცია და კამპანია; ყველას მიმართ, ვინც სამუშაოს თავის დროზე არ შეუდგება შეიძლება მიღებულ იქნეს იძულებითი ზომები; შინაგან საქმეთა კომისარიატმა საჭიროა გამოსცეს სათანადო ცირკულიარი და ინსტრუქციები.

ყველა თქვენს მიერ გადადგმული ნაბიჯი ზემოალნიშნულის აღსასრულებლად აცნობეთ აღმასრულებელ კომიტეტს.

საქ. საბჭოთა ცენტრალი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **კალანდაძე.**

რკინის გზაზე

ბოლო უნდა მოეღოს რკინის გზაზე შანტაჟს

ა | წ. 10 მარტს მოვდიოდი მატარებლით № 21 სად. ნიგოითიდან თბილისში. სად. რიონიდან დაიწყეს მატარებელში რკინის გზის სამხედრო კონტროლის სახელით მოწმობების გაშინჯვა. სად. წიფაში მოვიდა ჩემთან ვიღაც უცნობი და კონტროლის სახელით მომთხოვა მოწმობა. მე ეჭვი შემეპარა მის კონტროლიორობაში და მოვთხოვე მას შესაფერი მოწმობა (მანდატი). მან პროტესტი განაცხადა ჩემს ასეთ მოთხოვნაზე; მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა ეჩვენებია ჩემთვის რაღაც მანდატის მგზავსი, რომელიც მეტრიკული ამოწერილობა გამოდგა. მე მოვთხოვე ნამდვილი მანდატი, რომლის შემდეგ მაჩვენა მან მანდატი № 137,781 რომელშიაც ეწერა, რომ ის ყოფილა ალექსანდრე კიკნაძე ბორჯომ—ბაკურიანშუა რკინის გზის მოსამსახუ-

რეების ჰურის დამრიგებელი და არა კონტროლიორი. მანდატი ჩამოვართვი მას და მოვსთხოვე, რომ გადმოვხტარიყავით მატარებლიდან პირველ სად. ლიხში, რომ ოქმი შეგვედგინა ასეთი შანტაჟის გამო, მაგრამ ის სადღაც გაიპარა. ამის მოწმენი არიან მოქალაქე ვასილ კირვალიძე, გიორგი კანდელაკი, ტერეზია ვაშაძე, მაკრინე ჯომახიძე და სხვა მგზავრები, რომლებმაც მიამბეს, რომ აღნიშნულ კიკნაძეს გადაყავდა ზოგიერთი მგზავრები მატარებლიდან, და თხოვდა 200—300 ათას მანეთს. სად. ხაშურში ჩამოსვლისას ყოველივე ეს განვუცხადე ხაშურის რკინის გზის სისხლის სამმართლის მილიციის სამმართველოში მორიგ უფროს მილიციონერს ამხ. ვანო ჩაჩანიძეს, რომელმაც დაიტოვა ის მანდატი და აღნიშნულ მოწმების დაკითხვით შეადგინა სათანადო ოქმი.

საჭიროა რკინის გზის ადმინისტრაციამ მიიღოს ზომები კიკნაძის მგზავს შანტაჟისტების წინააღმდეგ.

ქართული სამოსწავლო ძირითადი ათასეულის წითელ-არმიელი

სევერიან ქურიძე.

პროვინციაში

ბორჯომი *)

1921 წ. ენკენისთვეში მე მქონდა დავალებული მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისაგან, მომეხდინა ფართო რევიზია აბასთუმნის კურორტის. საკურორტო სამმართველოში რევიზიის დროს აღმოჩნდა ბევრი არა ნორმალობა და ბოროტება, როგორც ადმინისტრაციის, აგრეთვე ექიმების მხრივ. ყველა ამაზედ იყო შეგროვილი მასალები, შემდგარი ოქმი და მოხსენებებით წარგზავნილი სახალხო კომისარიატში დამნაშავეების პასუხისგებაში მისაცემათ. მიუხედავათ იმისა რომ საკმარისი მასალები იყო დამნაშავეების წინააღმდეგ, და კომისარსაც წინადადება მიეცა ესა თუ ის პირი სამსახურიდგან ყოფილიყო დათხოვნილი, აგერ 8 თვე გადის და არამც თუ არ დაითხოვეს ვინმე, მომავალ სეზონშიაც ჩვენი კურორტი ისევ მათი საწყენი რჩება, ვინაიდან ისინი დღესაც მსახურობენ. ყველაზე უფრო საყურადღებოა აბასთუმნის ფოსტა-ტელეგრაფის რევიზია, სადაც აღმოჩენილ იქნა ფოსტის უფროსის, კეკელიძის მიერ ჩადენილი ბევრი ბოროტმოქმედება რაშიც ის გამოტყდა. კეკელიძეს სხვა პირებიც უჭერდა მხარს. ბრალდება ისეთი სერიოზული იყო, რომ მოითხოვდ. სასწრაფოთ ზომების მიღებას. ყველა საბუთები და ოქმები დასკვნით დაუყონებლივ იყო გადაგზავნილი ჩემ მიერ სახალხო კომისარიატში, რათა დამნაშავე პასუხისგებაში ყოფილიყო მიცემული. სამწუხაროთ ეს ასე არ მოხდა. რვა თვე გადის და არამც თუ პასუხისგებაში არ მისცეს კეკელიძე, პირიქით მას საშუალება მისცეს, დაეთხოვა ყველა ის მუშა მოსამსახურეები, რომლებიც საბჭოთა ინტერესებს ბურჯათ უდგნენ და დამნაშავის ბოროტებას ამჟღავნებდნენ. ასეთმა მოვლენამ შეჰქმნა ისეთი სულისკვეთება მუშა-მოსამსახურეებში, რომ ისინი მომავალში იძულებული იქნებიან შიშით კრინტიც აღარ დასძრან მათ უფროსების ბოროტ-მოქმედებაზე.

საბჭოთა პრესტიჟისათვის საჭიროა კეკელიძის მიჩუმებულ საქმეს კანონიერი მსვლელობა მიეცეს აუცილებლათ და ის პასუხისგებაში იქნეს მიცემული. აგრეთვე უნდა მიეცეს კანონიერი მსვლელობა აბასთუმნის ყოფილ და ახალ მმართველობის საქმესაც, რომლის წყალობით მთელი აბასთუმნის სიმდიდრე-ქონება გაიუანტა, გაიქურდა. სახალხო კომისარიატში იმყოფება ყველა ამ ბრალდების საბუთები, ჩემს მიერ გადაგზავნილი.

ყოფილი საკურორტო მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამგე, ბორჯომის აღმასკომის თავმჯდომარე **რუხაძე.**

*) ჩვენ ვათავსებთ ამხ. რუხაძის წერილს, დარწმუნებულნი, რომ ის ჰპოებს სათანადო გამოხმაურებას ვისგანაც ჯერ არს. **რედ.**

სავალდებულო დადგენილება № 4

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტისა საბჭოსგან, სავაჭრო-სამრეწველო ბინებისა და სასაწყობო ადგილების შესახებ — 1922 წ. მარტის 25.

საერთო დებულებანი.

1. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალურ განყოფილებასთან არსებულ სახლების მეურნეობის სექციას ეწოდოს კომუნალური მეურნეობის **საბინაო განყოფილება.**

2. აღნიშნული განყოფილება კომუნალური მეურნეობისა განაგებს ყოფილ ქალაქის თვითმმართველობის საკუთარ სახლებს, მუნიციპალიზაციის წესით ჩამორთმეულ საბჭოთა სახლებს და აგრეთვე 10 პროცენტიან საბინაო ფონდს, რომელიც შესდგება შემდეგნაირად: ერთი მეათედი საცხოვრებელი ბინების რიცხვისა კერძო სახლებში და საცხოვრებლად იჯარით გაცემულისა გადადის საბინაო განყოფილების განკარგულებაში, უკეთუ ოთახების რიცხვი ამა თუ იმ სახლისა ათია ან ათზე მეტი. იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ სახლში ყველა ოთახი დაჭერილია ნორმის თანახმად, ათ პროცენტიან ფონდში გადადის პირველი განთავისუფლებული ოთახები. ათ პროცენტიან ფონდში გადასულ ოთახების ქირას სახლის პატრონი მიიღებს იმისაგან ვინც შიგ იცხოვრებს, ხოლო აღნიშნულ ოთახებში ჩასახლების უფლება აქვს მხოლოდ საბინაო განყოფილებას.

შენიშვნა: ა) სახლი, სადაც ოთახების არა ნაკლებ 25 პროც.-სა უჭირავს საბჭოთა მოსამსახურეთა და მუშებს, (პირველი კატეგორიის პირნი, რომელნიც იხდიან ბინის ქირას), განთავისუფლდება ოთახების ათ პროცენტიან ფონდში აღებისაგან.

3. სახლის ყველა კომიტეტი გაუქმებულ იქნეს; სახლის კომიტეტების ბეჭედი უნდა გადაეცეს საბინაო განყოფილებას; სახლის კომიტეტის ფუნქციები რჩება სახლის მეპატრონეს (მოიჯარადრეს ან მმართველს).

საცხოვრებელი ბინის შესახებ.

4. ყველა სახლი გარდა მუნიციპალიზაციის წესით ჩამოუთმეულისა გადაეცეს სახლის მეპატრონეს, რომელსაც ეძლევა უფლება მფლობელობისა, განკარგულებისა და განსხვისებისა.

5. კერძო მფლობელობაში მყოფ სახლს განაგებს მესაკუთრე ან მისი რწმუნებული პირი. მესაკუთრის ან მისი რწმუნებულის მოვალეობას შეადგენს: სახლის დაცვა უვნებლად, მთელი მისი რემონტის წარმოება, მეეზოვის შენახვა, განათება სახლის ნუმერაციისა და კიბეებისა, გაწმენდა ეზოსი, კიბეებისა, სახლის გასწრივ მდებარე ქვაფენილისა და ქუჩისა ნაწილისა და საერთოთ სისრულეში მოყვანა ყველა სანიტარულ და ადმინისტრატიულ მოთხოვნილებათა და განკარგულებათა.

6. სახლის მეპატრონესა და მოიჯარადრეს სრული უფლება აქვს გასცეს კერძო სახლში და იჯარით გაცემულში ყველა თავისუფალი ბინა, გარდა ათ პროცენტიან საბინაო ფონდში მიღებულისა,—თავისი შეხედულებისამებრ (დარღვეულ არ უნდა იქნეს დადგენილება ბინის ქირისა და ნორმის შესახებ).

7. ბინის ქირის გადამხდელნი განიყოფებიან ორ კატეგორიად:

1-ლი კატეგორია: ყველა უმუშევარი ჩარიცხული შრომის ბირჟაში, სოციალურ უზრუნველყოფაზე აყვანილნი, წითელი არმიელნი და მუშა-მოსამსახურენი სახელმწიფო დაწესებულებათა და წარმოებათა, რომელთაც არა აქვთ სხვა უშრომო შემოსავალი.

მე-2 კატეგორია: ყველა დანარჩენი მოქალაქე.

7. ორივე კატეგორიის პირმა უნდა გადიხადოს ქირა ბინის მთელი სასარგებლო სივრცისათვის, რაიც მას უჭირავს, ან მის ოჯახს, რომელიც მისსავე ხარჯზე სცხოვრობს.

9. დაჭერილი ბინის სივრცის ნორმა ყველა მოქალაქისათვის, გამოუნაკლისად არ აღემატება 25 ოთხკუთხ არშინს სულზე; პასუხისმგებელ მომუშავეთ, პრაქტიკის მქონე ექიმებსა და პროფესორებს უნდა მიეცეთ ნორმის ზევით ერთი კაბინეთი არაუმეტეს 30 ოთხკუთხი არშინისა სულზე; ამასთანავე პრაქტიკის მქონე ექიმებს კაბინეთის გარდა ეძლევათ მისაღები ოთახი.

10. პირველი კატეგორიისათვის დაწესდეს მტკიცე ბინის ქირა 1000 მანათის რაოდენობისა თვითეულ ოთხკუთხ არშინზე დაჭერილ სასარგებლო სივრცისა.

შენიშვნა: ა) ბინის ძირითად ქირას უნდა დაემატოს, უკეთუ ბინაზე არის:

ა) საბინიო ოთახი . . 3 პროც.
ბ) წინა (პარადნი) შესავალი კარი . . . . . 3 პროც.
გ) მინა-ჩასმული გალერ. 3 პროც.
დ) სამზარეულო . . . 3 პროც.

შენიშვნა ბ) გასავლელი ოთახი, რომელიც საცხოვრებლად გამოუსადეგია და მხოლოდ აერთებს ბინის ერთ ნაწილს მეორესთან, უნდა გამოირიცხოს ბეგარა დასადები სივრციდან და იგი დაიბეგრება, როგორც მინა - ჩასმული გალერეა.

შენიშვნა გ) საცხოვრებელ სარდაფში ან ნახევრად სარდაფში ბინის ქირა უნდა შემცირდეს 50 პროცენტით.

11. ყველა დანარჩენი მოქალაქე გადიხდის ბინის ქირას სახლის მეპატრონესთან შეთანხმებით.

12. პირველი კატეგორიის პირმა უნდა გადაიხადოს მიმდინარე თვის ბინის ქირა არა უგვიანეს თვის დასასრულისა.

13. ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა სახლის მეპატრონემ (მმართველმა ან მოიჯარადრემ) უნდა შეატანოს ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში განცხადება, რომ იგი შედის საკუთარი სახლის მფლობელობაში, რის შემდეგაც მას შეუძლიან დაიწყოს ყველა მის სახლში მცხოვრებთაგან ბინის ქირის აკრეფა: პირველ კატეგორიის პირთაგან ამა 1922 წლის აპრილის 1-დან, ხოლო დანარჩენ მოქალაქეთაგან 1921 წ. ნოემბრის 1-დან, იმ განაკვეთის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია ქალაქის რევოლიუციონური კომიტეტის 50 № ის ბრძანებით, ხოლო ა. წ. აპრილის 1-დან თანახმად ამა სავალდებულო დადგენილების მე-10 მუხლისა.

14. სახლის მეპატრონე ვალდებულია მოახდინოს მთელი რემონტი, როგორც კაპიტალური, ისე წვრილი.

15. სახლის პატრონი დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს დაუმთავრებელი სახლის შენების დასრულებას ან დანგრეულის შეკეთებას იმ ანგარიშით, რომ ეს მუშაობა დასრულებულ იქნას არა უგვიანეს 1923 წლის დასაწყისისა. უკეთუ ამ მოვალეობას სახლის მეპატრონე არ შეასრულებს იგი (სახლი) გაიცემა კომუნალური მეურნეობის მიერ გრძელვადიანი იჯარით; უპირატესობა ამ შემთხვევაში ეძლევა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

16. ყველა სახლის მეპატრონეს, რომელიც დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა შეუდგება დაუმთავრებელი სახლის შენებას, დანგრეულ ან უმოსახლო შენობათა აღდგენას, ან დაიწყებს ახალი საცხოვრებელი ბინების შენებას, მიეცემა შეღავათი იმ მხრივ, რომ აღნიშნულ შენობებზე არ გავრცელდება ამა დადგენილების მე-2, 9 და მე-10 მუხლებში ნაჩვენები ნორმა და ყველა ასეთი შენობა განთავისუფლდება საქალაქო გადასახადისა და მუნიციპალიზაციისაგან.

17. ბინის ჩამორთმევა სახლის მეპატრონეს არ შეუძლიან თვინიერ სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებისა.

შენიშვნა. პირველი კატეგორიის პირს ჩამოერთმევა ბინა სახალხო სასამართლოს დადგენილებით მხოლოდ ბინის ქირის სისტემატიურად გადაუხდელობის გამო.

სავაჭრო სამრეწველო ბინების შესახებ.

18. ქ. თბილისის ტერიტორიაზე არსებული და უკვე მუნიციპალიზაციის წესით ჩამორთმეული ყველა სავაჭრო-სამრეწველო და სასაწყობო ბინების სარგებლობისათვის დაწესებულ იქნეს თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის სასარგებლოდ ძირითადი საიჯარო ქირა 1921 წ. ნოემბრის 1-დან შემდეგი ანგარიშით.

19. სავაჭრო-სამრეწველო და სასაწყობო ბინების ადგილ მდებარეობის მიხედვით ქ. თბილისი განიყოფება სამ ზოლად, რომელთა საზღვრები უკვე გამოქვეყნებულია.

20. სავაჭრო ბინები და დარაბები განიყოფება ორ კატეგორიად:

ა) ბინა, სადაც მოთავსებულია კერძო-მფლობელობითი ქარხანა, სამრეწველო დაწესებულება, სახელოსნო, პურის საცხობი და კონტორა;

ბ) ბინა, სადაც სწარმოებს სხვადასხვა ხასიათის ვაჭრობა.

21. საიჯარო ქირის რაოდენობა სავაჭრო ბინისა და დარაბის სარგებლობისათვის განისაზღვრება ზოლისა, ბინის კატეგორიისა და მისი სივრცის მიხედვით; ამასთანავე სივრცის ერთეულად აღებულია ერთი ოთხ-კუთხი არშინი.

22. ძირითადი საიჯარო ქირა შემდეგია:

1-ლი კატეგორია ერთი ოთხ-კუთხი არშინი			—	20,000 მან.
1-ლი ზოლი:				
მე-2 კატეგორია	„	„	„ . .	25,000 „
1-ლი კატეგორია	„	„	„ . .	15,000 „
მე 2 ზოლი:				
მე-2 კატეგორია	„	„	„ . .	20,000 „
1 ლი კატეგორია	„	„	„ . .	10,000 „
მე 3 ზოლი:				
მე 2 კატეგორია	„	„	„ . .	15,000 „

შენიშვნა: აღნიშნულ ძირითად ქირას უნდა დაემატოს იმ შემთხვევაში თუ არის:

ა) ვიტრინა . 5 პროც (დარბაზის ნორ.
ბ) გასავალი . (
ეზოში . . 3 პროც. (ქირისა.
გ) სასაწყობო ადგილი . 25 პროცენტი სასაწყობო ბინის საერთო სივრცის ნორმალი ქირისა.

23. ქირა დამოუკიდებელი, ცალკე სასაწყობო ბინისათვის, სადაც არ სწარმოებს ვაჭრობა, ან დარაბა არ არის, გადახდება პირველ 48 ოთხკუთხ არშინზე დაწესებული ნორმით (იხ. წინა მუხლი), როგორც დარაბისათვის, ხოლო დანარჩენ სივრცისათვის 25 პროც. იმავე ნორმისა.

24. ქირა სახელოსნო და შინამრეწველობის ბინისა და დარაბისათვის ეზოში, სარდაფში, პირველ, მეორე, მესამე და ზემო სართულებში გადახდება შემდეგი ტარიფით:

I სავაჭრო დარაბები:

1-ლი ზოლი: მე-2 ზოლი: მე-3 ზოლი:

ა) ეზოში—პირველ სართულში, ეზოდან და მეორე სართულში, როგორც ეზოდან, ისე ქუჩიდან, დაჭერილნი სავაჭროდ—18,000 მ., 15,000 მან., 12,000 მან.

1. სახელოსნოები:

ა) სარდაფში მესამე სართულში და ზევით, როგორც ეზოდან, ისე ქუჩიდან 15000 მან. 12,000 მან. 9.000 მან.

2. დაჭერილნი სავაჭროდ. 15.000 მან. 12.000 მან. 9.000 მან.

3. სახელოსნოები. 12.000 მან. 10.000 მან. 8.000 მან.

შენიშვნა: ამა მუხლის განაკვეთი არ გავრცელდება რესტორანზე, ყავახანაზე და სასადილოებზე.

II. სახელოსნოები უდარაბო ტიპის ბინებში:

ა) ეზოდან პირველ სართულში პირველი 30 ოთხ-კუთხი არშინის თვითეულ არშინზე: 15.000 მან. 12.000 მან. 9.000 მან.

დანარჩენი სივრციდან თვითეულ არშინზე: 5.0000 მან. 4000 მან. 3.000 მან.

ბ) სარდაფში და მეორე სართულში პირველი 30 ოთხკუთხი არშინის თვითეულ არშინზე: 12.000 მან. 10.000 მან. 8.000 მან.

დანარჩენი სივრციდან თვითეულ არშინზე. 4.000 მან. 3.000 მან. 2.000 მან.

25. სავაჭრო სამრეწველო და სასაწყობო ბინის დათმობისათვის და აგრეთვე მათ დაქირავებისა და სარგებლობასთან დაკავშირებულ ყველა კითხვების გამორკვევისათვის უნდა მიმართონ ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალურ განყოფილებას.

26. სავაჭრო ბინისა ან სასაწყობო ადგილის ქირის თვითეულ გადამხდელს ეძლევა სარეგისტრაციო წიგნაკი, რომელშიაც აღნიშნულია:

ა) ქუჩა, ნომერი სახლისა და ზოლისა და ნომერი სარეწავი მოწმობისა;

ბ) კატეგორია;

გ) ბინის სივრცე;

დ) ძირითადი ქირის რაოდენობა;

ე) ქირა მე-22 მუხლში ნაჩვენები დამატებითი ფაქტორებისათვის;

ვ) საერთო ჯამი ქირისა, რომელიც გადამხდელზე ირიცხება.

სარეგისტრაციო წიგნაკი გაკეთდება ორ ცალად, აქედან ერთი ეძლევა გადამხდელს.

27. საიჯარო ქირა უნდა შეიტანოს გადამხდელმა აღმასრულებელი კომიტეტის კასაში ყოველთვიურად თვის დასაწყისში, რაიც ჩაინიშნება სარეგისტრაციო წიგნაკში.

შენიშვნა: დროებით, ვიდრე სარეგისტრაციო წიგნაკები დამზადდებოდეს ქირის გადახდა სწარმოებს ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის კასის კვიტანციის ქვეშ.

28. მოიჯარადრის ხარჯსა და მოვალეობას მიეკუთვნება: მონაწილეობა მთელი შენობის კაპიტალურ რემონტში, ყველა მიმდინარე რემონტი მის მიერ დაჭერილი ბინისა და ქვაფენილის ნაწილისა, რომელიც ბინას აკრავს, წმინდათ და წესიერათ შენახვა, როგორც თვით ბინისა, და ისე ახლო მდებარე ეზოს ნაწილისა, ქუჩისა და ქვაფენილისა, მათი გაწმენდა და მორწყვა და აგრეთვე დაცვა და ასრულება აღმასრულებელი კომიტეტისა და სხვა ხელისუფლების ყველა სანიტარულ და ადმინისტრატიულ განკარგულებათა.

მოიჯარადრეს ნება არა აქვს დადგას ხონჩა ქვაფენილზე, ქუჩაში და ეზოში, ან გამოფინოს გარეთ საქონელი და სხვ. და საერთოდ აწარმოოს ვაჭრობა მიცემული ბინის ან ადგილის გარეთ.

29. აღებული ბინის სასწრაფო დატოვება მოიჯარადრემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალურ განყოფილებას და ჩააბაროს მას ბინა სრულიად უვნებლად.

30. ბინის ქირის დანიშნულ ვადაზე შეუტანლობისათვის გადამხდელს დაედება ჯარიმა დღეში 5 პროცენტის რაოდენობისა გადაუხდელ თანხიდან, ხოლო იმ შემთხვევაში უკეთუ გადამხდელი ქირის შეტანას 20 დღეს გადააცილებს, მისი უფლება მოისპობა და დარაბა ჩამოერთმევა.

31. დადგენილება დარაბისა ან საწყობის ჩამორთმევის შესახებ გამოქვეყნებულ იქნეს ადგილობრივ ადგილ-ადგილ.

32. სავალდებულო დადგენილებ ესე ძალაში შედის დღიდან მისი გ მოქვეყნებისა.

33. გაუქმებულ იქნეს დღემ ამავე საგანზე გამოცემული ყ ლა დადგენილება, რომელიც ... დადგენილებას ეწინააღმდეგება.

ქ. თბილისის აღმასრულებელი კ მიტეტის თავმჯდომარის მაგ **წივწივაძე.**

სარედაქციო კოლეგია.

ხელის მოწერათა საყურადღებოდ

სახელმწიფო გამომცემლობა აცხადებს გაზეთ „პრავდა გრუზიის“, „ კ მუნისტის“, „ კარმირ ასტლ“-ის და „ ახალი აზრის“ ხელის მომწერთა (ხელმწიფო დაწესებულების, პარტიული და მუშათა ორგანიზაციების (კერძო პირთა) საყურადღებოდ, რომ შემდეგში გაზეთებს მიიღებენ ისინ მხოლოდ ხელის მოწერის ფასის გადახდის შემდეგ. იმ დაწესებულებებს (პირთ, რომელთაც გასული თვეებისთვის გადასახადი არ შემოუტანია

გაზეთების მიწოდება უსათუოდ შეუწყდებათ.

ხელის მოწერა და ფულის მიღება გასული თვეებისთვის სწარმოებ წინასწარ სახელმწიფო გამომცემლობაში (ლორის მელიქოვის ქ. № 5).

სახელმწიფო გამომცემლობისაგან

განცხადება

ცხადდება ყველა პარტიულ გაზეთების „კომუნისტის“, „პრავდა გრ ზიის“ და „კარმირ ასტლ“-ის ხელის მომწერთა საყურადღებოდ, რომ პ ველ აპრილიდან ხელის მოწერა მიიღება ახალი ფასით.

პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის ხელის მოწ ადგილზე ქალაქში სახლში მიუტანელად თვეში ეღირება 120.000 მან. შ მიტანით 140.000 მ. პროვინციაში 150.000 მან.

ყველა სხვა დაწესებულებისა და კერძო პირთათვის ხელის მოწ ადგილზე შინ მიუტანელად ქალაქში ეღირება თვიურად 180,000 მან. შ მიტანით 200,000 მ., პროვინციაში 240.000 მან.

ცალკე ნომერი ქალაქში ეღირება 10,000 მ. პროვინციაში კი 12,000

ხელის მოწერა დროებით მიიღება სახელმწიფო გამომცემლობაში ლ რის-მელიქოვის ქ. № 5 ამხ. ზუმბაძესთან.

განცხადება

თბილისის აღმასრულებელი კომ ტეტის სამმართველოს განყოფილებ

ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ ყველა ის მოქალაქეები, რომლებ უკვე აწარმოებენ ვაჭრობა-მრეწველობას და ამა წლის ხუთ აპრილამდ არ აიღებენ ამის კანონიერ უფლებას, თანახმად ა. წ. 14 იანვრიდან თ ლისის აღმასკომის პრეზიდიუმის № 1 სავალდებულო დადგენილებ **5 აპრილიდან სრულიად კარგავენ ქალაქის ფარგლებში ვაჭრობის უ ლებას და მათ სასწრაფო წესით ჩამოერთმევათ მაღაზიები ახალ მ ჯარადრეებზე გადასაცემათ, იქ აღმოჩენილი საქონელი გაიყიდება (ჯარო ვაჭრობით საბინაო ქირის გასანაღდებლად, ხოლო თვით დამნაშ ვაჭარ მრეწველები დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით სამმართველ განყოფილების გამგის ხელისუფლებით — 6 თვემდე გამასწორებ სახლში მოთავსებით ან 25 მილიონი მან. დაჯარიმებით.**

თბილ. აღმასკომის სამმართველოს განყოფილება.

ყოფ. სრულუფლებიანი გიმნაზიის გამგე და დამაარსებელ ტეხნიკუმის,

მათემატიკის

მასწავლებელი ი. მაჩაიძე ამზადებს მოწაფეებს ყველა საგნებში ტ ნიკუმში 1, 2, 3, 4 კლასში შესასვლელად და მოწმობაზე.

პლეხანოვის და ალექსის ქ. კუთხე. № 25 | 5. ნახვა 7—8 ნახევ. (ლით, 3—7 საათამდე.

(1—1)

განცხადება

ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი ამა წლის 25 მარტის სავალ ბულო დადგენილების № 4 ცხოვრებაში გასატარებლად საყოველთაოდ (ხადებს, რომ **ქალაქის ფარგლებში მდებარე სახლების მესაკუთრეთა რ გისტრაცია დაიწყება ამა წლის 4 აპრილიდან ქ. აღმასკომის საადგ მამულო განყოფილებაში (ოთახი № 52).**

მესაკუთრენი უნდა გამოცხადდნენ სათანადო განცხადების წარს გენათ, საანკეტო ფურცლის შესავსებათ და სარეგისტრაციო ბარათის საღებად, შემდეგი წესით:

4	აპრილიდან	1-ლ	უბანში	მდებარე	სახლების	მესაკუთრენი.
11	„	2	„	„	„	„
18	„	3	„	„	„	„
25	„	4	„	„	„	„
2	მაისს	5	„	„	„	„
9	„	6	„	„	„	„
16	„	7	„	„	„	„
23	„	8	„	„	„	„
30	„	9	„	„	„	„
6	ივნისი	10	„	„	„	„
13	„	11	„	„	„	„
20	„	12	„	„	„	„

ის სახლები, რომელთა მესაკუთრენი არ გამოცხადდებიან სარეგ ტრაციოთ, ცნობილი იქნება როგორც უპატრონო.

ქალაქის აღმასრულებელი **კომიტეტი.**

(3—1)

ქ. თბილისის მე-9-ე უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს სახალხო სასამართლოში ტურგენევის ქ. № 4. ანნა იაკობის ასუ აკვერბერგს, რათა გამოცხადდეს იგი ხსენებულ სასამართლოში ორი თ განმავლობაში ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან წარმოსადგენად ვის მისამართისა საქმეზედ, რომელიც აღძრულია სასამართლოში მისი უღლის ფრანც კსაგერი აკვერბერგის მიერ განქორწინების შესახებ. წინა მდეგ შემთხვევაში უწყება მის ანნა აკვერბერგის სახელობაზედ, დატ ბული სასამართლოს კანცელარიაში ჩაითვალოს ჩაბარებულად.

სახალხო მოსამართლე (ხელს აწერს).

(1—1)

დაიკარგა

ქ. თბილისის სადგურზე პირადობის მოწმობა მოცემული ჯავის რ კომის მიერ ანდრია პავლეს ძე შიუკაშვილის სახელზედ და სარეგისტრა ბარათი მიღებული ქ. თბილისის მე-10 რაიონის მილიციის უფროსისა ჩაითვალოს გაუქმებულად.

(1—1)